

# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1975 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს

ქ. ბერლინი

ძვირფასო მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მივესალმები ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს

თანამედროვე სამყაროში ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხსა და მისი გადაჭრისათვის თანმიმდევრულ ბრძოლას განსაკუთრებული აქტუალობა, განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა

ქალები სულ უფრო ფართოდ ებმებიან საწარმოო საქმიანობაში, თავიანთი შემოქმედებითი წვლილი შეაქვთ კაცობრიობის მატერიალურ სოციალურ და სულიერ პროგრესში ისტორიაში წინათ არასოდეს არ ყოფილა მშვიდობისმოყვარე ქალების ესოდენ მასობრივი და ქმედითი გამოსვლები, განმათავისუფლებელი მოძრაობის ასეთი გაქანება, ხალხთა ასეთი დიდი მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისადმი. აი რატომ არის, რომ ქალთა თანასწორუფლებიანობა, მათი ფართო მონაწილეობა თავიანთი ქვეყნების ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, მათი როლის ამაღლება მშვიდობის განმტკიცებაში ეს კეთილშობილური მიზნები, რომელთა მიღწევას ეძღვნება თქვენი კონგრესი, ჭეშმარიტად დროის მოთხოვნა გახდა

როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ **1975** წელი ქალის საერთაშორისო წლად გამოაცხადა, ამას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენს ქვეყანაში. და ეს ღრმად კანონზომიერია დიდმა ოქტომბერმა საბჭოთა კავშირში დასაბამი მისცა ქალთა იურიდიული და ფაქტიური უთანასწორობის, მისი დისკრიმინაციის ყველა ფორმის სრულ ლიკვიდაციას მას მოჰყვა ქალის სოციალური როლის, მის შესაძლებლობათა შესახებ ძველი წარმოდგენების ძირფესვიანი მსხვრევა. აღმოფხვრა ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის ადგილის თაობაზე სამარცხვინო, როგორც მათ ვ. ი. ლენინი უწოდებდა ცრურწმენები. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ უცილობლად დაამტკიცა, რომ ქალთა განთავისუფლება და მათი ქმედითი მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასა და სახელმწიფოს მართვაში არათუ შესაძლებელი და მისაღწევია, არამედ საერთოდ ეკონომიური და სოციალური პროგრესის აუცილებელი წინამძღვარია. საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს დედა-ქალზე, ყველა პირობას უქმნის, რომ შეძლოს დედობა შეუთავსოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საწარმოო შრომაში მონაწილეობას

ამჟამად ქალის მდგომარეობა სოციალისტურ სამყაროში ჭეშმარიტად დიადი მაგალითია მთელი პლანეტის ასეულ მილიონობით ქალისათვის შთააგონებს მათ და მთელ პროგრესულ, დემოკრატიულ ძალებს კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა ქალთა ჭეშმარიტი, ნამდვილი თანასწორუფლებიანობისათვის.

თქვენი კონგრესი შეიკრიბა იმ ვითარებაში, როცა საერთაშორისო ასპარეზზე დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები ხდება, მტკიცე მშვიდობის გზაზე დიდი ნიშანსვეტი გახდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მისი შედეგები კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ მთელ მსოფლიო პოლიტიკაზე ვიეტნამელი ხალხისა და ინდოჩინეთის სხვა ხალხების ისტორიული გამარჯვება არაბი ხალხების შეუპოვარი ბრძოლა აგრესიის წინააღმდეგ, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ნეოკოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი სახელმწიფოს მიღწევები — ყოველივე ეს ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებას და ამით ქმნის დამატებითს წანამძღვრებს ქალთა ნამდვილი ემანსიპაციისათვის, განამტკიცებს მათი ნათელი მომავლის იმედებს და სავსებით გასაგებია, რომ ინიციატივები, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების გაღრმავება, გამალებული შეიარაღების ტვირთის მოხსნა და განიარაღება, უაღრესად მხურვალე და მადლიერ გამოხმაურებას პოულობს ქალთა გულში. სწორედ ქალს შეუძლია წარმოიდგინოს ის დიდი უბედურებები, რომლებიც დაუნდობელი ომის ქარცეცხლში მოდის დედების, ქვრივების, ობლების წილად.

ქალთა დემოკრატიულმა მოძრაობამ შეიტანა და კვლავაც შეაქვს უდიდესი წვლილი საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში ხალხთა სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ინტერნაციონალურ სოლიდარობაში ყველასთან ვინც განიცდის იმპერიალისტურ დიქტატსა და აგრესიას ამას მოწმობს ქალთა საერთაშორისო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობა ვიეტნამელ პატრიოტებთან, არაბ ხალხებთან სოლიდარობის მოძრაობაში, ჩილეს სამხედრო ხუნტის ტერორის, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში ფაშისტური თვითნებობის წინააღმდეგ ქმედითი პროტესტის აქციებში.

თქვენი წარმომადგენლობითი ფორუმი, უეჭველია ხელს შეუწყობს საერთაშორისო ცხოვრებაში ქალთა დემოკრატიული მოძრაობის ავტორიტეტის შემდგომ ზრდას, ქალთა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებისათვის მშვიდობისათვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივი ძალების სოლიდარობის განმტკიცებასა და გაფართოებას.

დიდ წარმატებას ვუსურვებ კონგრესს.

ლ. ბრეჟნევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვანე სტრიქონებით ნაწერი დიდება



მზის ამოსვლას პიროფლიანი ხვდება გუგული ქადეიშვილი. ფოთლით სავსე კალათი მარცხენა ხელში გადააქვს, მარჯვენას თვალებზე იჩრდილებს და მშობლიურ ქედებს შეავლებს თვალს.

მერე კალათს დაცლის და ისევ ჩაის ბუჩქებში დატრიალდება. სანიმუშოდ მოვლილი მწკრივები ლიანდაგებივით მიემართებიან წინ და ცისა და მიწის სილურჯეში იკარგებიან.

გუგული ქადეიშვილი მახარაძის რაიონის შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეა, ამ სოფლის ერთ-ერთი გამრჯე ქალი და მზრუნველი დედა. იგი ასე ამბობს ხოლმე: „შრომის სიყვარული დედამ ჩამინერგა. ჯერ მის გვერდით ვშრომობდი, შემდეგ დედამთილს ამოვუდექი მხარში. 2 მცირეწლოვანი ბავშვის დედა ვიყავი, როცა ერთ დღეში 110 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხაკო ორაგველიძემ მომილოცა წარმატება და მითხრა: „დედამთილი უნდა დაასვენო, დაბერდა, ახლა შენი ჯერიაო“.

შრომის კოლმეურნეობაში შრომით თავის გამოჩენა არც ისე ადვილი იყო. რვა გმირი ჰყავდა სოფელს, რვა ოქროს ვარსკვლავი კიაფობდა მარადიული სიმწვანის ფონზე და იცოდა გუგულიმ, რომ რჩეულთათვის მხარის გასწორება დიდ მონდომებას, ენერგიას და ჯაფას მოითხოვდა.

ეს ჭეშმარიტება გუგულის უფროსმა მეგობარმა, ცნობილმა ტატიანა ჩხაიძემაც კარგად იცოდა, მაგრამ სოციალისტური შრომის გმირი, ნოვატორი მეჩაიე ამხნევებდა ახალგაზრდა ქალს, საგულდაგულოდ ესაუბრებოდა ბუჩქების მოვლისა და ფოთლის კრეფის მოწინავე მეთოდებზე.

ისმენდა გუგული ქადეიშვილი მართალ სიტყვას, იკრეფდა ენერგიას, ხვეწდა თითების მოძრაობას, იმსახურებდა ქებას. მის მკერდზე ჯერ შრომის წითელი დროშის ორდენები აელვარდნენ, შემდეგ — ლენინის ორდენი.

ეს მაღალი ჯილდო 1966 წელს დაიმსახურა მეჩაიე ქალმა, როცა მოკრიფა და მიმღებ პუნქტს ჩააბარა 11 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

საქმეზე შეყვარებულ გუგულის მეზობლები ვეღარ ასწრებდნენ შინიდან გასვლას. ის მზის ამოსვლას ყოველდღილით პლანტაციებში ხვდებოდა, იქიდან გადმოხედავდა თავის კერას, აყვავებულ კარ-მიდამოს, სკოლისაკენ მიმავალ პატარებს.

გუგული რგოლის ხელმძღვანელად დანიშნეს და კიდევ უფრო მოემატა საზრუნავი, ახლა საკუთარი წარმატება აღარ იყო საკმარისი, რგოლის თითოეულ წევრს უნდა გამოეჩინა თავი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. „რგოლში არცერთი ჩამორჩენილი!“ — ასეთი დევიზით შრომობდნენ გუგული და მისი ამხანაგები...

და როცა, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი გაქანება ჰპოვა, როცა სოფლის მეურნეობის მშრომელთა მაჩვენებლებმა თვალსაჩინოდ იმატა, გუგული ქადეიშვილის რგოლმაც უხვი მოსავალი მიიღო — სახელმწიფოს გეგმიური 38 ტონის ნაცვლად 49 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა. პირადად გუგულიმ კი 12 ტონა და 900 კილოგრამი ნედლეული მიიტანა ჩაის ფაბრიკაში. ასე შეემატა სოფელ შრომას კიდევ ერთი სოციალისტური შრომის გმირი, კიდევ ერთი ოქროს ვარსკვლავი.

წელს უფრო დიდი მიზნები ჰქონდა დასახული გუგული ქადეიშვილს. მას უნდა მოეკრიფა და მიმღები პუნქტისთვის ჩაებარებინა 14 ტონა ჩაის ფოთოლი.

ხუთწლედი დიდი გადაჭარბებით!. — ამ მიზნის შესრულება გუგულისათვის ად-

ვილი არ იყო, მაგრამ არც მიუღწეველი აღმოჩნდა.

გუგული ქადეიშვილს ჩაის პლანტაციის მოვლა-დამუშავების საკუთარი მეთოდი აქვს. რაში მდგომარეობს იგი?

გამოცდილი მეჩაიე თებერვალ-მარტში გაპიროვნებული პლანტაციის მხოლოდ ნახევარზე სხლავს ბუჩქებს, მეორე ნახევარს კი ისე ტოვებს. გაუსხლავ ბუჩქებზე დუყები მალე შემოდის და გუგულიც ჩვეულებრივზე ორი კვირით ადრე იწყებს ფოთლის კრეფას. ივნისში იგი ამ ნაკვეთზე კრეფს...

ამრიგად, გუგულის ნაკვეთზე განუწყვეტლივ შემოდის ნორჩი დუყები, ადგილი არა აქვს ფოთლის გაუხეშებას, თანაც ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი ხანგრძლივი და ნაყოფიერია.

გუგული ქადეიშვილის მეთოდმა მეჩაიეთა ყურადღება მიიპყრო და მას ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა, გუგულის რგოლის ყველა წევრი კი ამ მეთოდით მუშაობს.

შრომის ფერხულში ჩაბმულ მეჩაიეებს ყოველდღე ჩამოუვლის ხოლმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მიხაკო ორაგველიძე, ჩამოუვლის და ყველას შეეხმატკბილება, გაამხნევებს. იგი კარგა ხანს რჩება გუგული ქადეიშვილის ნაკვეთში, გულმოდგინედ ათვალიერებს ამაგდარი ქალის ნახელავს.

—გუგული ქადეიშვილი მოკრძალებული და კეთილი ქალია, ამასთან კარგი შვილებისა და შვილიშვილების პატრონი. 26 წელია მეჩაიეა და ამ ხნის მანძილზე 280 ტონაზე მეტი ჩაი მწვანე ფოთოლი მოკრიფა. გუგულის მეგობრული დამოკიდებულება აქვს თავის რგოლის წევრებთან, ეხმარება მათ და უზიარებს გამოცდილებას. ამიტომაც აღწევენ ისინი მაღალ შრომით მაჩვენებლებს. გუგული ქადეიშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებამ მთელი სოფელი გაახარა, — ამბობს თავმჯდომარე.

კარგად იცის გუგული ქადეიშვილმა, რომ დღეს ჩვეულებრივი შრომით ვერავის გააკვირვებ, საჭიროა მეტი მუყაითობა, იმ საქმის ცოდნა, რასაც ემსახურები.

თუ გინდა რომ წარმატებას მიაღწიო, სრულყოფილად უნდა გამოიყენო უახლესი აგროტექნიკა, ისარგებლო მოწინავეთა გამოცდილებით, მოიმარჯვო მეცნიერების მიღწევები. ამასთან ერთად უნდა გახასიათებდეს მაღალი მორალური თვისებები, გენდობოდნენ, უყვარდე და პატივს გცემდნენ თანამოსაქმენი.

ყოველივე ამას მიაღწია გუგულიმ, მიაღწია უმწიკვლო შრომით, ადამიანური ღირსებებით.

მეცხრე ხუთწლედის დავალება შრომის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა შარშანვე შეასრულეს. ეს ადვილი როდი იყო, მაგრამ იქ სადაც გუგული ქაოეიშვილისთანა ადამიანები ცხოვრობენ და შრომობენ, მიუღწეველი არაფერია.

**გ. ბიბაური**





მეშვიდე საშუალო სკოლა

# მარგანეცის ქალაქის დღეები

(ინტერვიუ)

მარგანეცის ქალაქის მშრომელები შესანიშნავი წარმატებებით ხვდებიან სკკპ XXV ყრილობას. ძირფესვიანად შეიცვალა მდგომარეობა იმ დადგენილების შემდეგ, რომელიც ორიოდე წლის წინათ მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა — „სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ“. ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი შეხვდა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანს **ლეილა ბიწაძეს** და მისცა რამდენიმე კითხვა.

**კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ გავიხსენებთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ზოგიერთ პუნქტს?**

**პ ა ს უ ხ ი:** დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „ჭიათურის მრეწველობა ჩამორჩება ხუთწლედის გამიზნულ ტემპს. პარტიის საქალაქო კომიტეტი და მარგანეცის ტრესტის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ წარმოების რენტაბელობასა და ეკონომიურობას....

მშენებლობის ტრესტს, დაწყებული 1958 წლიდან 1973 წლის დეკემბრამდე, მხოლოდ ერთხელ, 1960 წელს ჰქონდა შესრულებული გეგმა. მშრომელებს დააკლეს ათასობით მეტრი საცხოვრებელი ფართი...

ცოტას ზრუნავენ ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სკოლებს ცუდი სასწავლო-მატერიალური ბაზა აქვთ, სავაჭრო ორგანიზაციათა უპასუხისმგებლო მუშაობით ბევრ მაღაზიაში ზოგჯერ არ არის პირველი მოთხოვნილების პროდუქტებიც კი“.

**კ ი თ ხ ვ ა: როგორ წარმართა მუშაობა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ახალმა ხელმძღვანელობამ?**

**პ ა ს უ ხ ი:** ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელობა უაღრესად რთული და სერიოზული ამოცანის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო დ. იაკობაშვილისა



ასეთი იქნება ჭიათურა

სპორტული კომპლექსი



ნაშე დადგა. გასაკეთებელი იყო თითქმის წლების მანძილზე გაუკეთებელი და, რაც მთავარია, საჭირო იყო კომუნისტური რწმენის განმტკიცება, შეგნებულობის ამაღლება, პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა.

მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე საჭირო შეიქნა პრინციპული ღონისძიებების გატარება კადრების შერჩევის, აღზრდისა და სწორად განაწილებისათვის. დიდი ყურადღება დაეთმო სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, მარგანეცის წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. ძირეულად გარდაიქმნა საქალაქო კომიტეტთან არსებული, მშენებლობის ხელშემწყობი საქალაქო შტაბის საქმიანობა და, რაც მთავარია, გაძლიერდა კონტროლი. შედეგმაც არ დააყოვნა:

1974 წელს ჭიათურის მრეწველობამ, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, 11 დეკემბრისათვის, ვალდებულებით გათვალისწინებულზე ორი კვირით ადრე, წარმატებით გაანაღდა სახელმწიფო დავალება — 61. 783 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვა 65. 570 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

თუ ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე არცერთხელ არ შესრულებულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა, 1974 წელს ეს დავალება 105,1 პროცენტით იქნა განაღდებული. გეგმის გადაჭარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭიათურა. ნაგუთისკენ მიმავალი საბაგირო გზა

ზებით ათვისებულია 748 ათასი მანეთი, ვალდებულება კი 400 ათას მანეთს ითვალისწინებდა. მშენებლებმა ვადაზე ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ 450 ათასი ტონა წლიური წარმადობის მაღაროები, მიწისქვეშა უბნები და კარიერები, კარბონატული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, 4 ახალი სკოლა 2.000 მოსწავლისათვის, 240-საწოლიანი საავადმყოფოს კომპლექსი, საბავშვო ბაღი 140 ბავშვზე და სხვა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ გასულ წელს შესრულდა და ამასთან დიდი გადაჭარბებით, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმები და საექსპლოატაციოდ გადაეცა 5 საცხოვრებელი სახლი 10.439 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართით, სადაც 220-მა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

**კითხვა: რა წარმატებები აქვთ წელს მარგანეცის ქალაქის მშრომელებს?**

**პასუხი:** კიდევ უფრო მეტი წარმატებებით დავიწყეთ მიმდინარე წელი. ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტი სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის როგორც პირველი, ისე მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა. თუ მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში მარგანეცის ტრესტის ზოგიერთი საწარმო გამართულად ვერ მუშაობდა, მიმდინარე წელს არცერთი კოლექტივი არ არის ჩამორჩენილი. ჩვენ ვცდილობთ არა მარტო ყოველი მაღარო იყოს მოწინავე, არამედ არ გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი უბანი და ცვლა. შეიძლება ითქვას, მათი რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი.

წარმატებებით დაიწყეს 1975 წელი მშენებლებმაც. ქალაქის თითქმის ყოველ უბანში ნახავთ ხარაჩოებში ჩასმულ ნაგებობას, რომლის საძირკველიც სულ რაღაც ორიოდე თვის წინ გაჭრეს, დღეს კი სართულებია წამომართული. სტალინის ქუჩის ერთ-ერთი უბნის რეკონსტრუქცია, სადაც საკმაოდ მოძველებული, „ბარაკის" ტიპის სახლები იდგა, მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო. აქ რამდენიმე რვასართულიანი სახლი შენდება, მათ შორის ერთში ახალმოსახლეობას სულ მალე იზეიმებენ მაღაროელები, ერთიც მომავალი წლის პირველ კვარტალში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ამავე უბანში აშენდა სკოლა 780 მოსწავლეზე, მისი საფუძველიც მიმდინარე წლის იანვარში ჩაიყარა, აშენდა ხუთსართულიანი სახლი გიუნაშვილის ქუჩაზე. წლის ბოლოსათვის მწყობრში ჩადგება საბავშვო ბაღი 140 ბავშვზე ორჯონიკიძის ქუჩაზე, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი—ნაგუთის დასახლებაში, პროფილაქტორიუმის შვიდსართულიანი შენობა — პიონერთა ქუჩაზე, ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი — კომკავშირის ქუჩაზე, საშუალო სკოლა—წირქვალში, ადმინისტრაციული ცენტრი—სოფელ რგანში და სხვა. მშენებლებმა მიზნად დაისახეს 1976 წლისათვის არცერთი ოჯახი არ ცხოვრობდეს „ბარაკის" ტიპის ბინებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კითხვა: რა გაკეთდა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით?**

**პასუხი:** ქალაქის ხელმძღვანელობამ მარტო გასულ წელს 113 უკანონოდ გაცემული და წლების განმავლობაში გამოკეტილი საცხოვრებელი ბინა გამოათავისუფლა და მისცა იმ მშრომელებს, რომლებიც მწვავედ განიცდიდნენ უბინაობას.

საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო სავაჭრო ქსელი მატერიალური ბაზის მხრივ. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა მაღაროთა სამმართველოების მუშათა სასადილოებს. გარეგნული ფორმით და ინვენტარით ისინი ახლა რესტორნებს წააგავნან, რეკონსტრუქცია გაუკეთდა რესტორანს ქალაქის ცენტრში და იგი მუშათა დიეტურ სასადილოდ გადაკეთდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა კაფე-რესტორანი ყაზბეგის ქუჩაზე, ახალგაზრდული კაფე „გაზაფხული“ და სანაყინე სტალინის ქუჩაზე.

კაპიტალურად შეკეთდა თითქმის ყველა სასურსათო მაღაზია ქალაქში და მაღაროელთა დასახლებულ უბნებში. სავაჭრო ქსელის რეკონსტრუქციისათვის მარტო გასულ წელს 137.000 მანეთი იქნა დახარჯული.

დიდი ყურადღება დაეთმო მოსახლეობის პროდუქტებით, განსაკუთრებით ბოსტნეულით უზრუნველყოფას. ჩვენი ქალაქის დიასახლისები ახლა იშვიათად აკითხავენ ბაზარს. კარტოფილი, ხახვი, პამიდორი, კიტრი, კომბოსტო, წვრილღეროვანი მწვანილიც კი უხვადაა ჩვენს მაღაზიებში. ბოსტნეულით მომარაგების საქმე დღითიდღე უმჯობესდება.



ჭიათურა.



არ შეიძლება არ აღინიშნოს მშრომელთა ინიციატივა ქალაქის გარეგნულ გაფორმებასა და გალამაზებაში. მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები გვთავაზობენ თავიანთ აზრს ქუჩების გამშვენიერებისა და გალამაზების საქმის უკეთ მოწყობისათვის. ხალისით მონაწილეობენ გამწვანების სამუშაოებში, სკვერების, გაზონების და ბაღების ყოველნაირად დამშვენებაში.

**კითხვა: როგორია ქალაქის მშრომელთა მომავლის გეგმები?**

**პასუხი:** ჭიათურის მრეწველობამ ოქტომბრის თვეში შეასრულა მეცხრე ხუთწლედი. იმ. საერთო — 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციაში კი, რომელსაც გეგმის ზევით გამოუშვებს წელს რესპუბლიკა, მაღაროელთა ქალაქის წვლილი იქნება 3 მილიონ 481 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ ვალდებულებასაც უთუოდ შეასრულებენ ქალაქის მშრომელები და პირნათლად შეხვდებიან სკკპ 25-ე ყრილობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შესანიშნავი სამეული

ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ ბარათი სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგებოდა: „ვართ რა. ვმუშაობთ. დრო ცოტა გვაქვს. მით უმეტეს ახლა — შემოდგომისას. კინოსთვისაც ვერ ვიცლით (არ იფიქრო, ვწუწუნებდე). ამ დახუნძლულ მტევნებს რომ გავხედავ, გული სიამით მევსება... ამ მოსავალში ხომ ჩემი და ჩემი ტრაქტორის წვლილიცაა...

ეჰეი, ქრისტინე, მარინე, ნათო, — გავძახებთ ხოლმე ერთმანეთს სალამოთი... ირგვლივ მოთიბული ბალახის სურნელია და თავდავიწყებით ჭრიჭინებენ კუტკალიები. მოვდივართ და ვფიქრობთ ხმამაღლა: ქრისტინეს ბამზე უნდა წასვლა... მე და მარინეს სტუდენტობისკენ მიგვიწევს გული. ქრისტინე კვიმატურად იცინის: თქვენც ერთი, ყველა სტუდენტი ხომ არ გახდებაო.

მივაბიჯებთ შარაგზაზე. კაბები გვაცვია და მაშინ გვახსენდება ხოლმე, რომ გოგოები ვართ. თუმცა ქრისტინეს შარვალი მაინც ვერ გავახდევინეთ"...

ბარათს ხელმეორედ ვკითხულობ და მეხსიერებაში მიცოცხლდება სექტემბრის ქარიანი დღე, ფერდობზე შეფენილი ვაზის მწკრივები და მწკრივებს შორის მოგრუხუნე სავენახე ტრაქტორი, რომელიც ხანდახან ისე ირყეოდა, იფიქრებდით, სადაცაა ჩამოცურდებაო...

... მერე კაბინიდან გადმოძვრა კაფანდარა გოგო (იტყოდით, სული რომ შეუბერო, ცხრა მთას იქით გადავარდებაო), მტვრიანი კომბინეზონი ჩამოიბერტყა, კარტუზიანი ქუდი მოიხადა და გამურული სახიდან კბილები რომ გამოაქათქათა, მაშინ დავიჯერე, ჩვენს წინ სწორედ ის, ცნობილი ნათელა ბუთხუზი რომ იდგა.

— სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვიცანი, — თქვა მისმა ძველმა მეგობარმა დავით იაკობაშვილმაც.

მერე სამეულის ორი წევრიც ვიპოვეთ: მარინე და ქრისტინე.

X

— სკოლა დავამთავრე თუ არა, სახლში გამოვაცხადე—ტრაქტორისტი უნდა გავხდე-მეთქი... დედამ შემომიტია: სად გაგონილა ქალი ტრაქტორზე მუშაობდესო, მე შენ გეტყვი და დიდი ჯანიანი შენა მყევხარო. ამით გათავდა ჩვენი საუბარი. მეურნეობაში დავიწყე მუშაობა. გავიპარებოდი ხოლმე შესვენებისას და მექანიზაციის პარკში სატრაქტორო კურსებს გავდიოდი. ჭამაც არ მახსენდებოდა.

გამოცდების დღეც დადგა. დამაგვიანდა და კინაღამ წყალში ჩამიცვივდა ამდენი წვალება. ვერ გამოგცდითო, — მითხრეს, — უკვე დავამთავრეთო. ფეხი არ მოვიცვალე მაინც. იმდენ ხანს ვიდექი ჯიუტად, გამომცდელებს შევეცოდე და მითხრეს: კარგი, კარგი, სულ რამდენიმე შეკითხვას მოგცემთ და თუ გვიპასუხებ, მართვის უფლება ალალი იყოსო.

კარგად ვუპასუხე. ფრიადი დამიწერეს და მართვის უფლებაც მაშინვე გამიფორმეს. არ მახსოვს, სახლში მივედი თუ მივფრინდი. დედას ვუთხარი — ხვალიდანვე ვჯდები ტრაქტორზე-მეთქი. — ჰმ, ერთი შენც, რას ჭრიჭინებ, ვინ დაგსვამს, ნეტავ ვიცოდეო. წიგნაკი რომ დავანახვე, კოპები შეიკრა და მითხრა: ტრაქტორზე დაჯდები და სახლში მოსული არ გნახოო. კარგი-მეთქი, მეც ვუთხარი და ჩემოდნის ჩალაგება დავიწყე. თან ჩუმჩუმად მეცინებოდა. მიყურა, მიყურა და გაბრაზებულმა მითხრა: თავში ქვა გიხლია, რაც გინდა, ისა ჰქენიო...

ასე დაიწყო ის შრომითი გზა, რომელმაც ნათელა კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატობამდე მიიყვანა. გაჭედილ დარბაზში, ტაშის გრიალში გადასცეს მას საჩუქრად ტრაქტორი „ბელორუსი" წარწერით: „კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატს ნათელა ბუთხუზს. დნეპროპეტროვსკელი თანატოლებისაგან".

მარინესა და ქრისტინეს კი სახლში არავინ გაჯავრებიათ, ტრაქტორისტობა რომ მოინდომეს. პირიქით, გაეხარდათ, რადგან ეს გოგონები ნათელასთან ერთად იმუშავებდნენ.

ასე შეიქმნა შესანიშნავი სამეული.

— სამნი კი არა, თორმეტნიც ვიყავით, ამბობს ნათელა, — რგოლში ბიჭებიც ჩავრიცხეთ. ერთ ხანს იმუშავეს და მერე გაგვექცნენ.

— დავჯაბნეთ და იმიტომ, — იცინის მარინე.

— მძიმე საქმეაო, შეშინდნენ, — უმატებს ქრისტინე.

— ქარხანაში გადავიდნენ სამუშაოდ, ანაზღაურება მეტიაო. სოფელში ახალგაზრდობა მუშაობს, მაგრამ მეტი წილი მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქისაკენ ისწრაფვის. სტუდენტობა სურთ, ან საწარმოებს მიაშურებენ ხოლმე. უკან იშვიათად ბრუნდებიან. მეც წავიდოდი, მაგრამ მიყვარს ჩემი პროფესია. გარდა ამისა, მაშინ აქ ვიღამ იმუშაოს?

— ყველა ხომ უმაღლესს ვერ დაამთავრებს? — ფიქრიანად კითხულობს ქრისტინე.

— ამ ვენახს რომ უყურებ, ერთი წლის ჩაყრილია. ჩინურს ვეძახით. შვილივით უნდა მოვლა. თუ კულტივაციით ძირი არ გავუფხვიერეთ, მაშ ვინ მოუვლის?

ქრისტინე 17 წლისაა, მარინე 18-ის, ნათელა 20-ის. ვუყურებ მათ და მიკვირს, როდის მოასწრეს ამდენ რამეზე ფიქრი. ნაზი, სათუთი ხელები აქვთ, სუსტი მაჯები და მხრები. მაშ, რამ მისცათ ამდენი ძალა?

— ბრძენი დედაკაცები ვართ, — გულიანად იცინის ქრისტინე, — ბრძენი და გამრჯენი. ჩვენისთანებზე იტყვიან, კაცს ცივ ქვაზე დაასახლებსო.

ხუმრობენ, მაგრამ მართლად. ფაქტები მოვიშველიოთ: ნათელამ ერთი წლის გეგმა ნახევარ წელში შეასრულა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმით თუ 6 ჰექტარი ვაზი უნდა შეეწამლა დღეში — 12 ჰექტარს წამლავდა.

თუ დღეში 2 ჰექტარი ფართობი უნდა მოეხნა, 4 ჰექტარს ხნავდა.

თუ დღეში 3 ტონა სასუქი უნდა შეეტანა, 6 ტონა შეჰქონდა. არც მეგობრები ჩამორჩებოდნენ მას. ხშირად მინდორში გასულებს, ტრაქტორი გაფუჭებიათ. მსუბუქი დაზიანების შემთხვევაში თვითონვე არემონტებდნენ ხოლმე.

რაიონის გაზეთ „განთიადში“ მოწოდება დაბეჭდეს. ქვემოჭალელი, ლამისყანელი და მეტეხელი გოგონები გამოეხმაურნენ. ისინიც ეუფლებიან ტრაქტორისტის პროფესიას.

X

რასულ გამზათოვი წიგნში „ჩემი დაღესტანი“ წერს: ერთხელ სახელგანთქმულ მგოსანს აბუთალიბს ახალბედა პოეტი ეწვია; დაღესტნის თოვლიანი მთებივით თეთრმა აშუღმა ღიმილით ჩაიკითხა პოეტის ლექსები ტრაქტორზე, ნამგალზე, ჩაქუჩზე; გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა და თქვა: ვის გაუგონია ტრაქტორზე წერა, პოეტი სიყვარულზე უნდა გალობდესო.

რატომ გავიხსენე ეს?

ვუყურებ ამ გოგონებს და მინდა იმ ახალბედა პოეტივით საგალობელი ვთქვა ტრაქტორზე, ნამგალზე, მიწაზე, ვაზზე... შევაქო ისინი — ნათელა, მარინე, ქრისტინე... ჩემი ცდა ამაოა. ამიტომ იქვე მდგომ ჭაღარა კოლმეურნეს ვიშველიებ: — ძია კაცო, რას იტყვით ამ გოგონებზე?

— ოქროს შვილები არიან, შვილო, ოქროსი. სოფელში ვინმეს თვალში რომ ჩაუცვივდნენ, ხელს არ მოისვამენ. ორი მყავს საკუთარი. ნეტავი მაგისთანანი იყვნენ...



X

საღამოს პირია. ოქროსფერი დაისი. ბარაქიანი შემოდგომა ფშვინავს ბაღებში. წყნარად მიღიკლიკებს არხში ქსნიდან გადმოგდებული წყლის ტოტი. მწიფე ყურძნის მოტკბო სურნელი აბრუებს მიდამოს.

თითქოს კინოკადრია. კაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვიათ მათ. ლაქი წაუსვიათ ფრჩხილებზე. ყელსაბამით დაუმშვენებიათ ყელი და მეგობრებთან ერთად ჩამომსხდარან არხის ნაპირას.

როგორც ყოველთვის, ასეთ დროს, ცაზე ნამგალა მთვარეცაა და ჟიკჟიკა ვარსკვლავებიც.

საუბრობენ, იღიმებიან, ოცნებობენ, ფიქრობენ და თბილი, გულწრფელი, ბედნიერი შუქი ელვრებათ თვალებიდან...

დილით კი...

მათ ელით ზვრები, ყანები, ბაღები...

გუგუნებენ ტრაქტორები და ალიონიდან საღამომდე შრომობს შესანიშნავი სამეული.

X

**მინაწერი. მათი მისამართია: კასპის რაიონი, სოფელი ოკამი.**

**მექანიზატორთა კომკავშირული რგოლი: ნათელა ბუთხუზი, მარინე ქსოვრელი, ქრისტინე თათარაშვილი.**

**საპატიო წევრი ზოია რუხაძე. თვეში ერთ დღეს რგოლი გმირი ქალიშვილის სახელზე მუშაობს და მათი ნამუშევარი ირიცხება მშვიდობის ფონდში.**

ᲗᲘᲜᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

ვასილ შუკშინი

* * *

**შარშან, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, 45 წლისა, მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი რუსი მწერალი, ფრიად პოპულარული მსახიობი და თვალსაჩინო რეჟისორი ვასილ შუკშინი. მისი რამდენიმე მოთხრობა უკვე გამოქვეყნდა ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში.**

**გთავაზობთ ვ. შუკშინის კიდევ ერთ მოთხრობას.**



## მოთხრობა

ივან პეტინს ცოლი გაექცა, — ადგა და წავიდა! წასვლაც არის და წასვლაც... ვიღაც ოფიცერს აეკიდა — ძველ რომანებშიც სულ ასე არ თხოვდებოდნენ!

ივანი შორეული რეისიდან ჩამოვიდა, მანქანა დააყენა, ქოხის კარი გამოაღო და... მაგიდაზე წერილი დაინახა: „მაპატიე, ივან, მეტი არ შემიძლია. ნუ მომძებნი, აბა, რად გინდა?“

ეს ამოდენა კაცი თავში უროდარტყმულივით არ ჩაიკეცა! იმავე წუთს, რაღაც გუმანით მიხვდა, რომ აქ ხუმრობის ნატამალიც არ იყო — ლუდმილა წავიდა.

თითქო მაგარი კაცი იყო, მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა რა არ გადაუტანია, ახლა კი ცხადად იგრძნო, რომ წახდა: გული შეეკუმშა, რაღაც ჩაწყდა, ისეთმა უსაშველო სევდამ და ნაღველმა მოიცვა... ცოტას დააკლდა, იტირა. რამე უნდა ვიღონოო, გაუელვა, მაგრამ ფიქრის თავი არ ჰქონდა — გულთან რაღაც ჩხვლეტდა, რაღაც წიწკნიდა. „აი, თურმე როგორი ყოფილა უბედურება“. მორჩა, ყველაფერი გათავდა.

ორმოც წელს მიღწეული ივანი გაცილებით ხნიერი გამოიყურებოდა ამ ასაკის სოფლელი კაცის პირობაზე. მელოტი იყო. სიტყვაძვირი და პირქუში ჩანდა. ამით არც არაფერი შავდებოდა, ეს კია, რომ მის მელოტობას რატომღაც ყველა ამჩნევდა. ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკსა და სულ მუდამ ყველის ვაჭარივით კრეჭას თუ რამე აზრი ჰქონდა, ივანს ვერც წარმოედგინა.

„ასეა, აბა, როგორ გინდა?!“ — ეტყოდა ხოლმე ლუდმილა.

ივანს ცოლი ამ სიტყვების გამოც უყვარდა ასე ძლიერ და... დუმილს განაგრძობდა.

„კარგი ერთი, — ფიქრობდა ივანი, — მე რა, შენი პოლიტხელი ხომ არა ვარ!..“

თურმე, სადა ხარ, ქალი გულით არ ამბობდა! მოალერსე, ენაწყლიანი ქმარი არ სდომებია!

ივანმა მერე კი გაიგო, ეს ამბავი როგორც მოხდა.

საბჭოთა მეურნეობა ელსადგურს აშენებდა და დასახმარებლად ერთი პატარა სამხედრო ქვეგანაყოფი ჩამოსულა.

ხალხი იმ ოფიცერს ჩამოუყვანია. ერთი კვირა დარჩენილან!.. ელექტრომოწყობილობა დაუმონტაჟებიათ და წასულან. ოფიცერს კი აქ თავისთვის ოჯახიც „დაუმონტაჟებია“.

ივანმა ორი დღე უთავბოლოდ იწრიალა, დალევაც სცადა, მაგრამ უარესად გახდა — სასმელს ვერ მიეკარა. გაზეთებში არაერთხელ წაეკითხა განაწყენებული ავტორების მოთხრობები. და აი, მესამე დღეს რაიონული გაზეთისათვის მოთხრობის წერას შეუდგა, [illegible] წაიკითხავს და იტყვის, რა უნამუსოდ მომექცნენო.

ბიბლიოთეკა

### მოთხრობა

ასე იყო, რაღა, — მოვდივარ და რასა ვხედავ, — მაგიდაზე წერილი დევს. სუ ჩაგიკაკლავდით, მაგრამ რაში გინდათ? რეები არ მიწოდა! კარგად ვიცი, რა ბუზანკალიც შეუჩნდა. სუ ეუბნებოდნენ, არტისტკას ჰგევხარო. არ ვიცი, ვიზე ამბობდნენ. იმ ჭკუის კოლოფმა ვერ გაიგო: მერე რა მოხდა, თუ ჰგავდა? რამდენ ვინმეს მე ვგავარ, მაგრამ თავი კი არ დამიკარგავს, რწყილი ხომ არა ვარ, ავხტე და დავხტე? ამას კი, იმას ჰგავხარო, რომ ეუბნებოდნენ, ცა ეხსნებოდა, ადგა და კულტგანათლების სკოლაში არ წავიდა?! თვითონ მითხრა. ჰიტლერს ჰგავხარო, რომ გითხრან, ესე იგი, რა უნდა ჰქნა: ეცი თოფს და ქუჟე ხალხი წინ და უკან. ფრონტზე გვყავდა ერთი, ტყუპის ცალივით ჰგავდა ჰიტლერს. რა გინდა უყო, ხომ ვერ მოკლავ — ხელი სტაცეს და ზურგში უკრეს თავი. ამას სულ ქალაქისაკენ ეჭირა თვალი. იქ სულ თითით საჩვენებელი ვიქნებიო, აიჩემა. მოდი და ელაპარაკე! არა, ისე თლა სულელი არაა, ცოტა შექანებული კია — ფიზიანომია აუვარდა თავში. ლამაზები ცოტაა? — ყველა რო სახლიდან გაიქცეს, სად წავა! მე ხომ ვიცი, იმან რა უთხრა: „თქვენ ძალიან, ძალიან ჰგავხართ ერთ არტისტკას!“ ჭკუაზე შეიშალა ქალი. ეჰ, გადაგვყავთ სახელმწიფო, ეს სწავლაო, ეს ჩაცმაო, ეს დახურვაო, თქვენ კი თავს გახვედით, საზოგადოება რაში გედარდებათ! სახელმწიფო ზარალობს, თორემ მე რა!“

კალამი შლიგინ-შლიგინით გარბოდა. ივანს წერა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ადგა, ქოხში გაიარ-გამოიარა. „სახელმწიფო“ უადგილოდ კი ვახსენეო, გაიფიქრა... კვლავ მაგიდას მიუჯდა და „სახელმწიფო“ გადახაზა. შემდეგ განაგრძო:

„ერთი თქვენა ყოფილხართ!.. ვითომ, თუ შოფერი ვარ, არაფერი გამეგება? ამ ხუთი თითივით გიცნობთ, ვინცა ხართ და რაცა ხართ! მე სახელმწიფოსთვის სარგებლობა მომაქვს აი ამ ხელებით, რომლითაც ახლა ვწერ; ასაქცევში თუ შემეფეთე, ამ ხელებით თვალებში ისეთი ელსადგური აგიჩახჩახო, რომ სულ ვაი დედა გაძახებინო. შეშინებას მოუკვდა პატრონი. ვინ გაშინებს. მერე არა თქვა, ეგ ჯერ როდის მაშინებდაო. ისე ვამბობ, — ვინიცობაა! — კაცნი ვართ. ისე, დიდი ღორობაა, რაც მართალია, მართალია: ეს როგორ მოხდა, არც აციე და არც აცხელე, პირდაპირ ჩაეფსკვენი?! დედა რა ვნახე! ქალი არ იყო, მაგრამ არც რა უშავდა. ქალი ვის არ მოწონებია, შე კაცო! ვაჟკაცურად, თავზე ნუ მიყურებ, აქაო და მელოტიაო, არაფერი შეგეშალოს — ბარე ერთ-ორ დედაკაცს გვერდებს მეც გავათბობინებდი. ათასი რეისია, ხალხი მიდი-მოდის. მე რომ მაგის კაცი ვიყო! არა, იქნება ვინმეს ცოლია ის უპატრონო, ისა! ზოგია, გაიტრუნება, რა ქმარი, რის ქმარი, ქმარი ვის ახსოვს, ვის დაკარგვია! ეგეც ვიცი, მაგრამ ეგა თქვი, იმ კაცის წინაშე ვიღა გამოვდივარ, მე რომ რქები უნდა დამედგა! მე მოვკვდე, თუ ეგეთი რამე ვქნა.

არა, ყური მიგდე: ხომ ადგა და წავიდა. ვითომ რაო, სად მივდივარო. ოჯახი დაანგრია და მერე რა ვექსილ-თამასუქით? ძაან არ იცის ახლა, იქ მტკიცე ოჯახს შექმნის თუ არა? ის კაცი კვირაც არაა გაიცნო, ჩვენ კი მთელი ოთხი წელი ერთად ვიცხოვრეთ. ქალის ჭკუა რა ვთქვი! სახელმწიფომ რაც მაგაზე ფულები ხარჯა — გადაყევი და ასწავლე ახლა მაგისთანებს! ასწავლე, თორემ დაგიფასებს. მერე ეს რომ არ უსწავლებიათ? მაგის მშობლებსაც ვიცნობ, აქვე ცხოვრობენ, მეზობელ სოფელში, რიგიანი ხალხია. მაგის ძმაც, სხვათა შორის, ოფიცერია, უფროსი ლეიტენანტი, ცუდი არც იმაზე გამიგია. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულია. ეს საიდან გამოტყვრა ასეთი ქარაფშუტა? გადარევასა ვარ. ზედ ვიყავი გადაგებული. ძაან კი შევეთვისე. ერთიც, მოვდივარ რეისიდან და მიხარია: მალე ვნახავ-მეთქი. თურმე, სადა ხარ: რქებს მადგამს, მერე და რა რქებს: სულ ჭახაჭუხი გაუდით. ისე, დიდი თითლიბაზი ვინმე კი შეხვედრია, ლუდმილა რას გაუძლებდა, სულ ათიოდე წუთით ეშმაკს აჰყვა... ეგ არაფერი, ჯანდაბას, გავუძლებდით, მაგრამ წასვლა რაღა იყო? არა, ეს მაგიჟებს. ვფიქრობ და ვერაფერი გამიგია, თავში არ შედის, ოცდაათი წლისაა, ბავშვი რომ იყოს, კიდევ ჰო. ძალიან გულდაწყვეტილი რომ ვარ, იმიტომ დავწერე ეს მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრობა. ისე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე სამი ორდენი და ოთხი მედალი მაქვს. კაი ხნის კომუნისტური შრომის დამკვრელიც ვიქნებოდი, მაგრამ ერთი რამე მიჭირებს საქმეს: დავთვრები და ხალხს მამის სულს ვუტრიალებ. ვერაფერი გამიგია, ღმერთმანი, ფხიზელი სულ სხვა კაცი ვარ. საქესთანაც მთვრალი არასოდეს არავის ვუნახივარ და ვერც მნახავს. ლუდმილასთან ამ ოთხი წლის მანძილზე ერთხელაც არ შემიგინებია, რასაც თვითონაც დამიმოწმებს. ერთი უხეში სიტყვა რაა, არ წამომცდენია. მაინც ანტენასავით რქები არ დამადგა! — კაცის გადარევას სხვა კი არაფერი უნდა. ამას ჩიტის გულიც ვერ მოითმენს — მეც კაცი ვარ, ქვა კი არა ვარ.

**სალამით ივან პეტინი,**

**1 კლასის შოფერი“.**

რედაქცია ორ ნაბიჯზე იყო. ივანმა მოთხრობა აიღო და იქით გაემართა.

გაზაფხული იდგა და ივანს სული უფრო ემღვრეოდა: ციებიანს ჰგავდა, ცხვირი ჩამოშვებოდა. გაიხსენა, თითქოს გუშინ იყოო — რეპეტიციიდან ამ გზით ბრუნდებოდნენ შინ. კლუბი აქვე იყო. ზოგჯერ რეპეტიციაზეც აცილებდა ცოლს.

„რეპეტიციის“ ხსენებაზე ტანში ბურძგლავდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ცოლი რეპეტიციებს აღმერთებდა, ივანი — ცოლს. ლუდმილასთან გასეირნება ივანს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, — ლამაზი ცოლით თავი მოსწონდა, და კიდევ გაზაფხული უყვარდა. იგი ნება-ნება, შეუმჩნევლად ახლოვდებოდა, მაგრამ მისი მობრძანება უკვე დილაცისმარეც კი იგრძნობოდა და ივანს გული სხვაგვარად უცემდა — რაღაც იდუმალს ელოდა. გაზაფხულს ელოდა კაცი. ისიც მოდიოდა, სწორედ ისეთი, გულმკერდგაღეღილი და მოალერსე, ყელამდე სავსე მზითა და მიწიერი დაპირებებით. მოვიდოდა და, სულო და გულო, თვალი ვერ ძღებოდა.

ივანმა გაზინზლული ჩექმები გულმოდგინედ დაფენილ საწმენდა გაჰკრა-გამოჰკრა და რედაქციაში შეალაჯა. უწინ აქ არც ყოფილა, მაგრამ რედაქტორს იცნობდა: სათევზაოდ ერთად გადიოდნენ ხოლმე.

— აგეევი თუ არის? — ჰკითხა ივანმა ქალს, რომელიც ხშირად ენახა თავის სახლში — „ეს ლუდასთან არ დატანტალებდა რეპეტიციებზე? დაიქოქებოდნენ და გააბამდნენ — ეს „რეპეტიციაო“, ეს „დეკორაციაო“ — დადექი და უსმინე, ჰა, შენი ჭირიმე!“

ივანმა მისალმება საჭიროდ არ სცნო: ახლა ამ ქალს ჭირის დღესავით ვერ იტანდა.

ქალი ივანს ცნობისმოყვარედ და რატომღაც გახარებული მისჩერებოდა:

— აქ არის. უნდა ნახოთ?

— ჰო, უნდა ვნახო. რაღაც საქმე მქონდა. — ივანი ქალს თვალს არ აშორებდა და გულში ფიქრობდა:

„რა შვილია, ალბათ, ესეც აცუცურაკებს თავის ქმარს. მხიარულად კია და!“

ქალი რედაქტორის კაბინეტში შევიდა, მალე მობრუნდა და ივანს უთხრა:

— მობრძანდით, გეთაყვა...

ვერცხლისწყალივით მოძრავი, ივანივით გამელოტებული რედაქტორი ტანმორჩილი იყო და ამიტომაც ღიპმორეული და ჩამრგვალებული ჩანდა.

ივანის დანახვაზე იგი წამოიჭრა, ო-ჰო-ჰოო, — სიხარულით წამოიძახა და მკლავები ფანჯრისკენ გაიშვირა.

— ერთი შეხედეთ... არა, შეხედეთ!.. ჩემმა მზემ, უკეთეს დღეებს ვერც ინატრებ. სასროლი ბადით ხომ არ გიცდიათ ჯერ ბედი?

— მე... არა... — ივანი ცდილობდა როგორმე ეგრძნობინებინა: ბადე მინდა ახლა მეო?

— ამ შაბათს უნდა ვცადო ბედი, — რედაქტორი აღტყინებული იყო და ეშმაკმა იცის, როდის დამშვიდდებოდა. — თქვენ როგორ ფიქრობთ? ერთი სული მაქვს.

— მე მოთხრობა მოგიტანეთ, — თქვა ივანმა.

— რაო, მოთხრობა მოვიტანეო?! — განცვიფრდა რედაქტორი: — თქვენი მოთხრობა? რაზეა?

— ყველაფერი აქ მიწერია. — ივანმა რვეული მიაწოდა.

რედაქტორმა გადაფურცლა... ერთი შეხედა ივანს. ის სერიოზუ-



მხატვარი დ. ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად და მოღუშულად შემოსცქეროდა.

— თქვენ გინდათ, რომ ახლავე წავიკითხო?

— ახლა აჯობებდა...

რედაქტორი სავარძელში ჩაეშვა და კითხვას შეუდგა, ივანი ფეხზე დარჩა, მხიარულ რედაქტორს თვალს არ აცილებდა და ფიქრობდა: „ალბათ, ამის ცოლიც რეპეტიციებზე დადის, ეს კი ტყემალზე ზის — გაუშვი, იაროსო. ამას რა — იმ „დეკორაციაა“, თუ რაღაც ჯანდაბაზე ლაპარაკი ხომ არ გაუჭირდება! ეს, რაზეც გინდა, ილაპარაკებს“.

რედაქტორმა გადაიხარხარა.

ივანმა შუბლი უფრო შეიკრა.

— ახ, გენიალურია! — წამოიძახა რედაქტორმა.

კიდევ გადაიხარხარა, სიცილისაგან მუცელი უთახთახებდა.

— რა-ა? რაა გენიალური? — შეეკითხა ივანი.

რედაქტორმა სიცილი შეწყვიტა. ცოტა შეცბა კიდეც.

— მომიტევეთ... თქვენ... თქვენ ეს ვიზე დაწერეთ? ეს ამბავი თქვენ გადაგხდათ?

— სწორი ბრძანებაა.

— ჰმ... მომიტევეთ, მე ვერ მივხვდი...

— არა უშავს... ჩაიკითხეთ...

რედაქტორმა კითხვა განაგრძო, ის უკვე არ იცინოდა, მაგრამ გაოცებას ვერ მალავდა და თავს რის ვაი-ვაგლახით იკავებდა. არაფერი დამეტყოსო, და წარბებს ღუშავდა, თანაც ტუჩებს აცმაცუნებდა — ამით „აჰა, მესმის, მესმისო“, ამბობდა.

ბოლომდე ჩაიკითხა.

— თქვენ ამის დაბეჭდვა გინდათ?

— ცხადია.

— ამის დაბეჭდვა არ შეიძლება ეს მოთხრობა არაა...

— ვითომ რატომაო? ასეთი ამბები ერთი და ორი კი არ წამიკითხავს.

— კი მაგრამ რაღად გინდა ამის დაბეჭდვა? — რედაქტორი უკვე ნამდვილად სერიოზულად და თანაგრძნობით მიაჩერდა ივანს, — გამოვა რამე? თქვენ ამით მწუხარება შეგიმსუბუქდებათ?

ივანმა კარგა ხანს იფიქრა:

— მინდა იმათ წაიკითხონ... იქ...

— სად არიან, რო...

— ჯერ არ ვიცი.

— ჩვენი ადგილობრივი გაზეთი იქ ვერც მოხვდება!

— გავიგებ სადაც არიან და... გადავუგზავნი.

— ყური მიგდე, მე სხვა რამეს გეუბნები! — რედაქტორი უკვე ბოლთას სცემდა ოთახში. — ვთქვათ და დავბეჭდეთ, კეთილი და პატიოსანი! ამით თქვენს საქმეს ეშველება რამე? ვითომ გონს მოვა და დაგიბრუნდებათ?

— ნამუსზე მინდა შევაგდო... შერცხვებათ.

— აჰა-ჰა! — წამოიძახა რედაქტორმა — ღმერთო ჩემო... აბა, როგორ გითხრათ... მე თქვენ ნამდვილად თანაგიგრძნობთ, მაგრამ ამ წერილის დაბეჭდვა სიშტერე გამოვა! რედაქტირება კი არ ჭირს, რედაქტირება არაფერ შუაშია...

— იქნება დაბრუნდეს კიდეც...

— აპა! — ხმამაღლა წამოიძახა რედაქტორმა. — ღმერთო! — ეტყობოდა, ღელავდა, — ისა სჯობია, წერილი მისწეროთ. თუ გინდათ, ჩავსხდეთ, ერთად დავწეროთ.

ივანმა რვეული აიღო და რედაქციიდან გავიდა.

— ნახვამდის.

— მოითმინეთ! — მიაძახა რედაქტორმა. — ერთად დავწეროთ-მეთქი, — თუნდაც სხვისი სახელით დავწეროთ.

ივანმა ისე გაიარა მისაღები ოთახი, რომ არც შეუხედავს ქალისათვის, რომელმაც ამდენი რამ იცოდა „დეკორაციებსა“ და „რეპეტიციებზე“. აქედან პირდაპირ საჩაიეს მიაშურა. იქ ბოთლი არაყი იყიდა, სულმოუთქმელად დაცალა, ხემსიც არ დაუყოლებია და შინ — დაიქცა იქაურობა! — წავიდა. ხელები ჩაჯიბული ჰქონდა და ბრმასავით მიდიოდა —ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. მისმა სულმა სასურველი წონასწორობა ვერა და ვერ აღიდგინა. მიდიოდა და ჩუმად ტიროდა. გამვლელები გაკვირვებით შესცქეროდნენ, ის კი მიდიოდა და ტიროდა. არც არავისი რცხვენოდა. დაიღალა კაცი.

თარგმნა **ჟუჟბერ თითმერიამ**

# 1975 — ქალის საერთაშორისო წელი

## მსოფლიო კონფერენცია მეხიკოში

ქალის საერთაშორისო წელი თანამედროვე ქალთა მოძრაობის მზარდი პოლიტიკური აქტივობის წელიწადად იქცა. მისი დევიზია „თანასწორობა, განვითარება, მშვიდობა“. ამ დევიზით ტარდება არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებები, არამედ პროფკავშირების მნიშვნელოვანი გამოსვლები, ფართო ხასიათის რეგიონალური და საერთაშორისო შეხვედრები. ქალის წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენცია მეხიკოში.

კონფერენციის მუშაობაში და ე. წ. „ტრიბუნაზე“ (არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა ფორუმზე) გამართულ დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად მეხიკოში ჩავიდა შვიდასამდე ქალი ასზე მეტი ქვეყნიდან.

## ქალთა საერთაშორისო შეხვედრა მინსკში

წელს, აგვისტოს ბოლოს, მინსკში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო შეხვედრა. პლენარულ სხდომებზე გამომსვლელები მოუთხრობდნენ მსმენელებს იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ მონაწილეობას მათი ქვეყნის ქალები მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ღვაწლს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამა ყველა კეთილი ნების ადამიანის სწრაფვას გამოხატავს. საბჭოთა და საზღვარგარეთელმა საზოგადო მოღვაწე ქალებმა მოიწონეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის თათბირის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევოლუციონერთა ოჯახი



მარიამ მიქაძე



თამარ მიქაძე



მათიკო მიქაძე



დავით მიქაძე



ია მიქაძე

ქუთაისში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, ირაკლი მიქაძის ოჯახი ცნობილი იყო, როგორც რევოლუციური ოჯახი. ირაკლი, ქუთაისის მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის პედაგოგი, ფრიად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე კაცი, აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა 1896-1917 წლებში და ბევრი თვალსაჩინო წევრიც შემატა ბოლშევიკური პარტიის რიგებს. მის ოჯახში ხშირად იმართებოდა ფარული კრებები, ინახებოდა და ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურა, თავშესაფარს პოულობდნენ დევნილი რევოლუციონერები.

რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ირაკლის მეუღლე მარიამიც, პროგრესულად მოაზროვნე ცნობილი პედაგოგის — სპირიდონ მაგარაძის ქალიშვილი. სწორედ მამამ ჩაუნერგა შვილს მოწინავე იდეები და განაპირობა მისი რევოლუციურ მუშაობაში ჩაბმა. მარიამი 1905 წლიდან ეწეოდა რევოლუციურ მოღვაწეობას. 1917 წელს კი იგი ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა.

მარიამ მიქაძეს დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი. კარგად იცნობდა ქართულ, რუსულ და ევროპულ მხატვრულ ლიტერატურას, შესანიშნავად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს. იყო ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, კლასიკურ გიმნაზიაში ხელმძღვანელობდა დრამატულ წრეს და დგამდა რევოლუციური ხასიათის პიესებს.

ქუთაისის ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის მასალები, მითითებანი თუ ლიტერატურა ცენტრიდან ხშირად მარიამ მიქაძის სახელზე იგზავნებოდა. მარიამი კი დაუყოვნებლივ აბარებდა დანიშნულებისამებრ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მარიამმა მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებაში, შემდეგ ჯერ სენაკის, მერე კი ქუთაისის ქალთა განყოფილების გამგე იყო.

ოთხი შვილი გაზარდა მარიამმა: უფროსი თამარი, ბოლშევიკური პარტიის წევრი 1916 წლიდან და მისი ძმა დავითი, ქუთაისის ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ქუთაისში „სპარტაკის" ორგანიზაციის დაარსების ინიციატორებად ითვლებოდნენ. მომდევნო ქალიშვილი მათიკო, 1917 წლიდან სპარტაკელი, 1921 წელს პარტიაში შევიდა და აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების შენების ფერხულში. ნაბოლარა ია 13 წლისა იყო „სპარტაკის" ორგანიზაციის წევრი რომ გახდა. მისი ძმის, დავითის ხელმძღვანელობით ქუთაისში, არქიელის გორაზე ხშირად იმართებოდა სპარტაკელთა არალეგალური კრებები და მეცადინეობა. ია მეთვალთვალე იყო, საჭიროების შემთხვევაში კრების მონაწილენი უნდა გაეფრთხილებინა, მოსალოდნელი საფრთხე რომ აეცილებინათ თავიდან.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობა დიდი დემონსტრაციით აღნიშნეს ქუთათურებმა. ია დემონსტრანტთა რიგებში მიაბიჯებდა. იმავე წელს ქუთაისელმა ბოლშევიკებმა ახალი სამკითხველო — „ლამპარი" — დააარსეს. ამ საქმეში მიქაძეების ოჯახი აქტიურად მონაწილეობდა. სამკითხველო იღებდა და ავრცელებდა ბოლშევიკურ ლიტერატურას, რაც იას ჰქონდა მინდობილი.

მეფის ტახტის დამხობამ მშრომელ ხალხს თავისუფლება ვერ მოუტანა. ხელისუფლების სათავეში მენშევიკები მოექცნენ. კვლავ დაიწყო მიქაძეების დევნა. ისინი იძულებული გახდნენ ზესტაფონში გადასახლებულიყვნენ. იამ ზესტაფონის ქალთა გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა და იქ კომკავშირული ორგანიზაციაც დააარსა. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გოგონა კომინტერნის დოკუმენტებს ავრცელებდა გერმანელ და ინგლისელ ჯარისკაცებში, რომლებიც მენშევიკურ საქართველოში შემოდიოდნენ ზესტაფონზე გავლით. 1921 წელს ია მიქაძე, ჯერ კიდევ გიმნაზიელი, ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიიღეს. იმავე წელს მან მუშაობა დაიწყო შორაპნის მაზრის პარტიულ კომიტეტში განყოფილების გამგედ, ამავე დროს მასწავლებლობდა ზესტაფონის შრომის სკოლაში და აქტიურ მუშაობას ეწეოდა ქალთა შორის.

1922 წლის მაისში ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა. ია მიქაძე ამ ყრილობის დელეგატი იყო. 1929 წელს, მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ქიმიის განხრით. 1941 წელს დისერტაცია დაიცვა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

კარგა ხანია ია მიქაძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელია. იგი მეცნიერულ-კვლევით საქმიანობასთან ერთად აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა, ავტორია მრავალი სამეცნიერო შრომისა, რომელთაც სერიოზული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, მონაწილეა არაერთი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა.

იას მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო: შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები, შეტანილია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის საპატიო წიგნში.

ია მიქაძე ახლა უკვე ხანდაზმულია, მაგრამ ახალგაზრდული ენერგია და ცეცხლი ჯერ კიდევ არ განელებია. ეამაყება, რომ რევოლუციური ოჯახის შვილია, ეამაყება, რომ ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში მათს ოჯახსაც მიუძღვის წვლილი.

ანა დოლიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი.

# დუმილის პოეზია

**შემოდგომაზე,** როცა დიონისო თავს შეიმკობდა ყურძნის მტევნებით, როცა გაჯერდებოდა მზის მხურვალებითა და სინოტივით დედამიწა, თრობის ღვინო, თავდავიწყების ექსტაზი დიდსა და მცირეს სალაღობოდ უხმობდა, იწყებოდა ღვინის ღმერთის დღესასწაული: პრელტუნიკებიანი ქალწულნი არფაზე ძველისძველ სიმღერებს მღეროდნენ. ნიღბებიანი მსახიობნი პანტომიმას წარმოადგენდნენ. იგონებდნენ იმ გამბედავ მეზღვაურთ, ვინც დაამცრო პოსეიდონის მრისხანება, თავი დააღწია ციკლოპებსა და სირინოზებს, ათინას გული მოინადირა და კოლხეთის ნაპირებთან არგოს ღუზა ჩაუშვა. მერე მწუხარე ნიღბებით მოსილი ჭაბუკები უსიტყვო თავდავიწყებით წრეს რომ შეკრავდნენ, თეთრი მოსასხამების ფრიალ-ცრიალით ჩამოუვლიდნენ, მათი ხელები სიტყვაზე მეტყველი იყო. სხეული ჰყვებოდა სულის ტკივილზე, სევდაზე, თავგანწირულ სიყვარულზე... პანტომიმა, იგი ისევე ძველია, როგორც მითები და უფრო ძველი, ვიდრე თეატრი. იქნებ აქედან იღებდა სათავეს ევრიპიდეს, სოფოკლეს, არისტოფანეს ტრაგედიებისა და კომედიების სიუჟეტების სისხლსავსე ცხოველმყოფელობა... იგი შემდეგ მოხეტიალე კომედიანტებმა აიტაცეს და მხიარულ ბუფონადებში გამოიყენეს. ანდა ბერიკების ხალხური თეატრალიზებული წარმოდგენები. რა მახვილგონიერი, რა ფერადოვანი სანახაობანი! ნიღბებიანი სახიობნი. მესტვირე საზანდარითა, ბუკ-ნაღარითა და დაფდაფების ცემით შუკა-შუკა რომ ჩამოივლიდნენ. ვირზე უკუღმა შესვამდნენ სახე შეღებილ შაჰინ-შაჰს. პროცესიას წინ ბრეცია — ქართული პანტომიმის წინაპარი მოუძღოდა. დასცინოდა, ელაზღანდარებოდა, აქილიკებდა „მტარვალს". მოქნილი სხეული, როკვა-შუშპარი, სახის მიმიკა, ხელის მტევნების თამამი სიტყვიერ მჭევრმეტყველებაზე სახეირი იყო მერე იგი ხან მესაფლავე გახლდათ, ხან ზარით მოტირალი, ხან მიწის მუშა და მეთულუხჩე... ყველაფერი ხელეწიფებოდა... და მაინც პანტომიმას საფრანგეთში განსაკუთრებული პატივი დადეს. ფრანგული პანტომიმის ფუძემდებელი ჟან გასპარ დე ბიურო იყო, რომელსაც მადლიერმა შთამომავლობამ საფლავის ქვაზე ასეთი ეპიტაფია გაუკეთა: „აქ განისვენებს ადამიანი, რომელსაც სცენაზე არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს და ყველა მეტყველ აქტიორზე მეტი ჭეშმარიტება იღაღადა", ან ინგლისელი პანტომიმისტი ჯონი გრიმალდი, დიდი ჩარლი ჩაპლინის წინამორბედი, რომელსაც დიკენსმა „ბუფონადების მიქელანჯელო" უწოდა. დღეს პანტომიმას დიდი მფარველები ჰყავს ფრანგების — ჟან ლუი ბაროსა და მარსელ მარსოს სახით.

მარსელ მარსოსთან ბევრი რამ აკავშირებს ქართული პანტომიმის ფუძემდებელს ამირან შალიკაშვილს. მაინც საიდან ჩაესახა მომავალ მსახიობს, სტუდენტს პანტომიმის სიყვარული?! იქნებ მაშინ, როცა მოსკოვში იტალიის თეატრის „პიკოლო დე მილანოს" სპექტაკლები ნახა, სადაც პანტომიმა იტალიელთა წარმოდგენების ხაზგასმულ პლასტიკაში, მიმის ტექნიკის თავისებურ სტილიზაციაში გამოიხატა, ან იქნებ მაშინ, როცა ერმიტაჟის თეატრში მარსელ მარსოს მარტოობის დღესასწაულს უყურა, ნახა აქტიორი მიმი, რომელიც თავისი სხეულის მხატვარი იყო. მარსოს ხელები მღეროდნენ, ტიროდნენ, ხარხარებდნენ.

მერე ამირან შალიკაშვილისათვის დაიწყო შეცნობის, სწავლისა და შემოქმედებითი წვის დაუვიწყარი წლები. კამათი, ჭიდილი, ბრძოლა სკეპტიკოსებთან, რომლებსაც არ სწამდათ ქართული პანტომიმის მომავალი.

და მაინც საქმის სიყვარულმა, ნიჭიერი კაცის თავდადებამ თავისი გაიტანა და საძირკველი ჩაუყარა ქართული პანტომიმის თეატრს. ეს იყო ამ 10 წლის წინათ. ამასობაში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თვით მარსელ მარსო. სპექტაკლის შემდეგ გაეცნო მას ამირან შალიკაშვილი. გაუზიარა თავისი გატაცება, მარსელი დაფიქრებული უსმენდა, მერე ხელი მოუთათუნა მხრებზე. იგი მიმოსის ხელოვნებაზე მხურვალედ, თავდავიწყებით ლაპარაკობდა, საოცრად პლასტიკური იყო მისი ჟესტი, თვალებში ცეცხლი კიაფობდა. თარჯიმანი ძლივს ასწრებდა თარგმნას. მერე ფრანგი სტუმარი ქართული პანტომიმის სპექტაკლებზე მიიპატიჟეს. მარსელი აღტაცებულია... შემდეგ პარიზიდან უგზავნის ამირანს წერილებს, ამხნევებს, ურჩევს... თეატრი კი ძალას იკრებს. ეძებს ახალ გამომსახველ საშუალებებს, ყოველდღიური შრომა, თავგანწირვა და პანტომიმისადმი ერთგულება ეხმარება რეჟისორსა და მსახიობებს შეადუღაბონ პანტომიმის მტკიცე შენობა. მოგეხსენებათ, სადაც სიყვარულია, იქ გამარჯვების დღესასწაულიც დგება. ქართული პანტომიმა საკუთარი გზით მიდის. იგი მართალია ეყრდნობა მის უძველეს ანტიკურ და ევროპულ ტრადიციებს, მაგრამ მაინც ეროვნული ფესვებით იკვებება. ქართული პლასტიკა, ტემპერამენტი, ემოციური სისავსე ანიჭებს მას თავისებურ განუმეორებელ კოლორიტს. რეჟისორი განსაკუთრებული სიფაქიზით გრძნობს განათების, ფერის, მუსიკის, პლასტიკის ნიუანსებს და ზომიერად იცის მათი გამოყენება.

პანტომიმის თეატრი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში როგორც უჩვეულო ხელოვნება, რომელსაც გართობით მისია კი არ ეტვირთნია — უსულგულოდ ეცინებინა ან უსაგნო მანჭვა-გრეხით გაერთო მაყურებელი, არა, მან გვიჩვენა გულწრფელი, დიდი მხატვრული სიმართლით მოზარნამებული ხელოვნება, რომელშიც იყო ზეიმიც, ტრაგიზმიც, კომიზმიც, გროტესკიც და იუმორიც. ამირანმა, როგორც რეჟისორმა და მსახიობმა, ჯერ კამერული ხასიათის პანტომიმური ნოველები შექმნა, ლირიზმით, რბილი, ხავერდოვანი პლასტიკით სავსე „რთველი საქართველოში", „ოცნება და სინამდვილე", „ერთი სიყვარულის ისტორია" და სხვ. პანტომიმის თეატრში მოვიდნენ მიმის ფანატიკოსები, რომლებსაც ძველთაძველი მიმოსი ამირან შალიკაშვილმა შეაყვარა. იგი იყო მათი პირველი მასწავლებელი. — კირა მებუკე, ზურაბ გუგუშვილი, გიორგი ოსეფაშვილი, რუსიკო გრიგოლია, მერი ალიმბარაშვილი და სხვები — 16 ქალიშვილი და ჭაბუკი. მერე დადგა უფრო სერიოზული, ღრმა, ფსიქოლოგიური გარდასახვების დრო, კლასიკური პანტომიმის დღე. იქმნება სპექტაკლები: „ელექტრა", „ხიროსიმა", „ჩილეს ტრაგედია", „მესაფლავე", „მუშკეტერის სიკვდილი". რეჟისორმა უარი თქვა დეკორაციების მკვეთრ კონტურებზე, ბუტაფორიულ ყალბ ბრწყინვალებაზე. ლაკონიური რეკვიზიტი, მათემატიკურად ზუსტი და რაციონალური მიზანსცენები, დიდებული, კორდებალეტით ექსპრესიული მრავლისმეტყველი ქორო. ტექნიკა დახვეწილი, რაფინირებული, და მაინც წინა პლანზეა მსახიობი, გმირი, რომლის ხელების, სხეულის მოძრაობაში სიტყვის ტოლფასოვნად იკითხება შინაგანი განცდა, ფიქრი, ტკივილი, სიხარული. უპირველესად ასეთია თვით ამირან შალიკაშვილი, როგორც აქტიორი, რომელიც გასაოცარი მხატვრული სიმართლით ცხოვრობს სცენაზე.

პანტომიმის თეატრის სპექტაკლებმა გვაგრძნობინა ევრიპიდეს „ელექტრას" ფილოსოფია, ბედისწერის ტრაგედიის კულმინაცია, ადამიანურ ვნებათა ვულკანისებური ძალა, მერე ანტიკური გარდასახვიდან მიმის ოსტატები უბრუნდებიან თანამედროვე პრობლემებს, რაც გვაღელვებს, არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა კეთილი ნების ადამიანს. ხიროსიმა... წყნარ იაპონურ ქალაქში, რომელსაც მზე დანათოდა თავზე, ადამიანებს უყვარდათ ერთმანეთი, ყოველდღიურ ფუსფუსში გართულნი სულაც არა ფიქრობდნენ, რომ ერთ დღეს ცა დაემხობოდათ თავზე... თეატრმა ამ სპექტაკლით გამოხატა თავისი პროტესტი მათდამი, ვინც სიკვდილი დათესა სიცოცხლის წილ, რამეთუ დედამიწაზე არვის არა აქვს უფლება ხელყოს სხვისი ბედნიერება. სპექტაკლს ჰქონდა გასაოცარი რიტმი, დიდი ემოციური ძალა. შემდეგ იყო წარმოდგენა ჩილეს ტრაგედიაზე. ლუის კორვალანის ვაჟი, რომელიც ამ წარმოდგენას დაესწრო თბილისში, სპექტაკლის შემდეგ აღელვებული ავიდა სცენაზე, მადლობა გადაუხადა მსახიობებს. ძნელია დაარწმუნო გარდასახვის გულწრფელობაში ადამიანი, რომელმაც თვითონ განიცადა ის ტრაგედია, რაც სულ რამდენიმე წუთის წინ სცენაზე ნახა. რაკი ირწმუნა, მაშასადამე, სპექტაკლმა გაიმარჯვა. ეს უკვე ბევრს ნიშნავს...

ქართული პანტომიმის ხელმძღვანელს დიდი გეგმები აქვს. მუშაობს „მაკბეტის", „ვეფხისტყაოსნის", „ალუდა ქეთელაურის" დადგმებზე. გვჯერა, რომ ამჯერადაც იტყვის თავის სიტყვას, როგორც რეჟისორი და მსახიობი.

სასიამოვნოა იმის შეგრძნობა, რომ თეატრმა უკვე ბევრი თაყვანისმცემელი გაიჩინა. იგი მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სიყვარულით და ყურადღებით არის გარემოსილი.

გასტროლებზე მოსკოვში, რუსეთის ქალაქებში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში დიდი აღიარება, პრესის ქება და მაყურებლის ტაში ხვდა წილად. „დუმილის პოეზია", „კოლორიტული თეატრი", „განუმეორებელი სპექტაკლები", „პანტომიმის დღესასწაული", „დაუვიწყარი სანახაობა" და სხვ. — ქართული პანტომიმის თეატრს ასეთი ეპითეტებით ამკობდა პრესა.

ამჟამად უპირველესად ქართული პანტომიმის თეატრს სჭირდება თავისი მუდმივი რეზიდენცია, თავისი სახლი, სადაც პანტომიმის დღესასწაულზე, როგორც ხელგაშლილი მასპინძელი, შეეგებება სტუმრებს. ეს მან ჭეშმარიტად დაიმსახურა.

**ნანა ჯაფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამამულო ომის ექო



მარი კიუდერიკოვა დაიბადა 1921 წლის 24 მარტს სამხრეთ მორავიაში. სწავლობდა ლიცეუმში. ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის პერიოდში ქარხანაში მუშაობდა და ამასთან არალეგალურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1943 წელს მარი გესტაპომ დააპატიმრა და იმავე წლის 26 მარტს სიკვდილით დასაჯეს.

მკითხველს ვთავაზობთ მარი კიუდერიკოვას უკანასკნელ წერილს, იგი დასჯის დღეს არის დაწერილი.

# მე მიყვარდა სიცოცხლე

ძვირფასო მშობლებო, ძვირფასო დედა, ძვირფასო მამა!

ჩემო ერთადერთო დაიკო და პაწია ძამიკო!

ძვირფასო დეიდა, მეგობრებო, ნაცნობებო!

ჩემო ოჯახო!

ყველას, ვინც გულში მყავხართ და ძვირფასი ხართ ჩემთვის, გემშვიდობებით, მოკითხვას გითვლით, მიყვარხართ. ნუ იტირებთ, მე არ ვტირი. გტოვებთ ცრემლების, შიშისა და ტკივილების გარეშე, გტოვებთ, მაგრამ მაინც თქვენთან ვარ. ძალზე მცირე სიყვარული შემიძლია გიწილადოთ, მხოლოდ მხურვალე და ღრმა რწმენა-ღა დამრჩენია. დიდი მადლობა.

დღეს 1943 წლის 26 მარტია, საღამოს შვიდის ნახევარი, ჩემი დაბადების დღიდან ორი დღის შემდეგ უკანასკნელი სუნთქვა აღმომხდება და მაინც მინდა არ დავკარგო სიცოცხლის რწმენა ბოლო წუთამდე.

ცხოვრებაში სიმამაცე არ მაკლდა და მე მას სიკვდილის წინაც არ ვკარგავ. ო, რომ შემეძლოს ვიტვირთო თქვენი წუხილი და ტკივილები! მე შემწევს ძალა, რომ ეს ტვირთი ვატარო. გევედრებით, იყავით ძლიერნი, არ იტანჯოთ, არ იტიროთ, მიყვარხართ, გეტრფით! როდესაც თქვენს წერილებს ვკითხულობ ხოლმე, თითქოს ფრთები მესხმება. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც კი ადამიანს ძალუძს, რომ ჩემთვის დიდი სიყვარული ჩაგენერგათ. ნუ იდარდებთ, ყველაფერი ვიცი, ყველაფერს ვგრძნობ, ყველაფერს ვკითხულობ თქვენს გულებში.

დღეს მშვენიერი დღეა. სადაც არ უნდა იყოთ ახლა, მინდორში თუ ბაღში, ნუთუ ჩემსავით შეიგრძნობთ ბუნების სილამაზესა და სურნელებას? თითქოს წინასწარ გული მიგრძნობდა — გავისეირნე, ჰაერში უკვე იგრძნობა გაზაფხული, თავისი სითბოთი, სინათლით, სურნელებითა და მოგონებებით.

ცხოვრების სითბო და ალერსი სულის სიღრმემდე აღწევს. მოხარშული კარტოფილის სუნი, კოვზების წკარუნი, ჩიტები, ცა, სიცოცხლე, ცხოვრების რიტმი. — გიყვარდეთ იგი, გიყვარდეთ ერთმანეთი, ისწავლეთ ურთიერთსიყვარული, დაიცავით სიყვარული, ამრავლეთ სიყვარული, რომ ჩემსავით იგრძნოთ ცხოვრების სილამაზე, როგორც საკუთარი არსებიდან მოძღვნილი საჩუქარი. აი ყველაფერი ის, რასაც გისურვებდით, იმისათვის, რომ იცოდეთ აღებაც და გაცემაც.

დღეს ჩემში იმდენ სითბოს, სიყვარულს, რწმენასა და სიმტკიცეს ვგრძნობ, რომ მინდა მკლავები გავშალო და გულში ჩაგიკრათ, რომ გადმოგცეთ ჩემი გრძნობები. ვიცი, რაც მოხდება მალე, მაგრამ არ მეშინია, შეიძლება ვცდებოდი ხოლმე, ვინმესთვის მიწყენინებია კიდეც, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი ჩემში ადამიანურობის, რაღაც დიდისა და სიკეთის ძალას. ლამაზი იყო ჩემი ცხოვრება, თბილი, ხალისიანი და ძლევამოსილი. თქვენ ჩემი კეთილი ვარსკვლავი იყავით — ჩემო ძვირფასო დედა, მამა, დაიკო და ყოზინეკ, დეიდა, ყველა, ვინც მიყვარდით და ვისაც გიყვარდით. ძვირფასებო, სიცოცხლევ და საყვარელო ქვეყანავ!

ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, რომელთაც მომანიჭეთ რაც კი ჩემში ძვირფასია და მაპატიეთ, თუ კი რაიმე ცუდი ჩავიდინე, იდეალური ადამიანის ძებნაში ხშირად ვცდებოდი, მაგრამ გულში რწმენა და თვალებში იმედი არ ჩამქრობია.

ჩემი ცხოვრების ამ ყველაზე მნიშვნელოვან საათს, მთელი სულითა და გულით გიძღვნით მადლობას და გიკოცნით ხელებს. ცრემლების ნაცვლად მორჩილებას, მადლიერებას, სიყვარულსა და ღიმილს დავაფრქვევ. თქვენგანაც ღიმილს მოვითხოვ, გიკოცნით ბაგეს დედა და მამა, პატარა დაიკო და ძვირფასო ძამიკო, დეიდა. გამხიარულდით, გიყვარდეთ! მთელს ქვეყანას გადაეცით ჩემი სალამი. ყველას გულწრფელად გისურვებთ ბედნიერებას.

გმადლობთ. დაე, ჩემი სიყვარული ზარების რეკვად გაისმოდეს!

თქვენი მოსიყვარულე შვილი მარი კიუდერიკოვა“.

თარგმნა ინგა აბშილავა-გეგეჭკორმა

# მეკავშირე კომკავშირული ბილეთით

როცა ფაშისტმა ბარბაროსებმა ჩვენს ქვეყანას ომი მეხივით დაატეხეს თავს, საშა აბრამიძემ ოთხი წლის გოგონა ედდას დაუტოვა და კომკავშირული საგზურით ფრონტზე მეკავშირედ წავიდა. იგი 224-ე ქართულ დივიზიაში ჩარიცხეს.

— ჩემთან ერთად საქართველოდან ბევრნი იყვნენ,—იხსენებს საშა,—ნადია დურგაჩოვა, ირა სლაგინსკაია, ვერა ფრუიძე და ნაზიბროლა პაგარაია (ქერჩში დაიღუპნენ), რუსიკო ელისაბედაშვილი (ცხოვრობს და კვლავ თავისი პროფესიით მუშაობს), უფროსი ლეიტენანტი სამსონ გალიგაშვილი, პოლიტხელი ვანო ოქროპირიძე, ბათუმელი პედაგოგი არტემ კალანდარიშვილი, მისი ძმა შალვა, შურა ვასაძე, ეთერ წერეთელი, მიხეილ ბოდოველი და სხვები.

საშა აბრამიძე იხსენებს ბრძოლების ეპიზოდებს:

— 1941 წლის დეკემბერში ქალაქ როსტოვში ოთხი რადისტი ალყაში მოვექეცით. უფროსმა, ვლადიმერ სავჩენკომ რადიომანქანა ააფეთქა, რომ მასალები მტერს ხელთ არ ჩავარდნოდა და რადისტებს გვიბრძანა, დავწოლილიყავით დაღუპულ მებრძოლთა გვამების ქვეშ. ამან გვიხსნა დაღუპვისაგან. მერე ჩვენს ნაწილს შევუერთდით...

— ერთ საღამოს სროლის ხმა თითქოს მიწყნარდა, — იგონებს საშა, — ირგვლივ ბრძოლის ველია გადაშლილი — დანგრეული, ცეცხლმოკიდებული სახლები, დახოცილი მებრძოლები... ჩვილი ბავშვის ტირილი შემოგვესმა, ხმას მივყევი, დაღუპულ დედას ძუძუთა ბავშვი გულზე ჰყავდა მიხუტებული, ბავშვი კნაოდა...

...საშამ ბავშვი აიყვანა და ნაწილში დაბრუნდა. მებრძოლებმა მოსახლეობაში ცოტაოდენი რძე იშოვნეს და ბავშვი მოასულიერეს. მეორე დღეს საშამ ბავშვს მკლავზე ბარათი შეაბა თავისი სახელითა და გვარით და ბაქოს მიმართულებით მიმავალ ეშელონს გააყოლა; ფიქრობდა, როცა დავბრუნდები, ვიპოვი, ჩემს შვილთან ერთად გავზრდი, ორი შვილის დედა ვიქნებიო.

1942 წელს, როცა ფრონტებზე გააფთ-

რებული ბრძოლები მიმდინარეობდა, საშა პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს.

...სტალინგრადში მიწას ცეცხლი ეკიდა. საშას ნაწილმა ღამის გასათევად ერთ ჩამონგრეულ შენობას შეაფარა თავი. იქ საშამ ქართველი მებრძოლი მიხეილ ბოდოველი ნახა. მათ ერთმანეთს და-ძმობა შეჰფიცეს.

1943 წლის თებერვალში, როცა გმირი ქალაქის — სტალინგრადის ბედი წყდებოდა, ყუმბარების ნამსხვრევებმა საშას მხედველობა და სმენა წაართვა, სარეცელს მიაჯაჭვა. ოთხი თვე იტანჯებოდა უსინათლო და სმენადახშობილი ქალი. სტალინგრადი გაანთავისუფლეს, გამარჯვების შეძახილები მას არ გაუგონია. როდესაც მხედველობა ნაწილობრივ დაუბრუნდა, საქართველოში გამოამგზავრეს. შვილმა დედა ვერ იცნო, გათეთრებული იყო მთლიანად.

ბოდოველი ჯერ კიდევ ფრონტზე იბრძოდა, რომ საშამ მისი დები მოინახულა ახმეტაში. ოთხმა დამ იგი მეხუთედ მიიღო, მიხეილის შვილები კი დღესაც მამიდას ეძახიან... გრძელდება ფრონტზე დაწყებული მეგობრობა.

საშას ბედი უკუღმა დაუტრიალდა. სამი წლის შემდეგ, ათი წლის გოგონა გამოეცალა ხელიდან. კვლავ მხედველობა წაერთვა, იწვა და მისტიროდა დაკარგულ შვილს. ამ მძიმე წუთებში ფრონტელი შვილობილის ბედი აეკვიატა. გადაწყვიტა „საშა აბრამიძე“ მოეძებნა, მეგობრები აიმედებდნენ, მოგიძებნითო. წერილებიც დაგზავნეს, რადიოთი რამდენჯერმე გამოაცხადეს. ამაოდ გამოდგა ცდა, ვეღარ მიაკვლია მის გზას.

გავიდა წლები, საშა აბრამიძემ გაუძლო მოზღვავებულ მწუხარებას, გამოჯანმრთელდა. სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, ომის ვეტერანი, სახელოვნად შრომობდა ქალაქის სამისამართო ბიუროში. მას სიხარულს ანიჭებს თანამებრძოლებთან შეხვედრა, იგონებს ომში დაღუპულ მეგობრებს, რომლებმაც სიცოცხლე ჩვენი სამშობლოს ბედნიერებას შესწირეს.

**დოდო ზურაბიშვილი**

# ქვეშელები

ჩანახატი

დედები აღარ ეუბნებოდნენ „ნანას“ აკვანში ჩაკრულ შვილებს. უთენია დგებოდნენ, ჩვილებს მოზრდილ შვილებს უტოვებდნენ და გასწევდნენ ხან სასახლის მიწებისაკენ, ხან სახატოსაკენ, ხან დაზნექილებისაკენ, ხან თავწვრილებისაკენ.

ბარავდნენ და ჩირკნიდნენ, თოხნიდნენ და რწყავდნენ, ყანას მკიდნენ და ლეწდნენ, სიმინდს ჰრიდნენ და არჩევდნენ მკლავმოუღლელად, მუხლჩაუხრელად, პირმოკუმულნი, თვალში ცრემლჩამდგარნი, შურისძიების ბოღმაჩაგუბებულნი.

სუფთა ჰაერი და ცივი წყალი, მჭადი და ოჯახის მარჩენალი ძროხის ჩამონაწველი იყო შინდარჩენილთა საზრდო.

მარცვლეულს თუ ბოსტნეულს, ხილს თუ ნაზარდ პირუტყვს — ყველაფერს ყიდდნენ ბაზარზე. ყოველ გროშს სახელმწიფოს აბარებდნენ სესხის სახით, ალალი გულით, ოღონდ მოსპობილიყო გადამთიელთა თარეში ჩვენს მიწა-წყალზე, — ოღონდ დამარცხებულიყო ვერაგი მტერი.

დედები — შვილებისაგან, ცოლები — ქმრებისაგან, დები — ძმებისაგან ელოდნენ სამკუთხა ბარათებს ფრონტიდან.

და მოჰქონდა ფოთე ფოსტალიონს ვაჟკაცური შემართებით აღსავსე ბარათები. ზოგიერთი სტრიქონი ცრემლით იყო დანამული, მაგრამ გამარჯვების იმედით სავსე.

მიჰქონდა დაუზარელ ფოსტალიონს ამანათის ყუთები, გაძეძგილი თბილი წინდებით, ხელთათმანებით, ხილეულით და ჩურჩხელებით.

— ადამიანო, — ეტყოდა მაშო ქმარს, — თვითონ ვერ გადაიტანეს ფოსტამდე? ხო წელი მოგწყდა, რვა კილომეტრზე ოთხი ყუთი როგორ უნდა ათრიო, ორმოცი კილო მაინც გამოვა.

— ოხ, შე რჯულგარდამავალო, შენა! მაგისთვის სცალიათ ქალებსა?! ისედაც ცეცხლი მიკიდია, სამი დაღუპვის დეპეშა მაქვს გადასაცემი და ვერ მიმიცია იმათი უბედური ცოლებისათვის.

ილიკასა და ელიჩკას რომ შევხვდები, ცოდვით ვიწვი. ჯერ სულ იმათი ბაგრატას მამაცობის ამბები მომქონდა გაზეთებითა თუ წერილებით, ახლა მისი დაღუპვის უწყება მიდევს გულის ჯიბეში და ნაკვერჩხალივითა მწვავს. ჩემი ვასო რომ ომმა შეიწირა, იმის შემდეგ ყველა მშობელსა ვლოცავდი, მაგრამა რა გამოვიდა? ბედმა მე დამაკისრა ამ უბედურების ქაღალდების დარიგება უილბლო მშობლებთანა.

დღეს იქ წადი, დაზნექილებში, გუშინდელი გათიბული დააბულულე, თავმჯდომარეს არ აწყენინო, კარგი ბულულები დადგი, მეც მალე გამოვბრუნდები და მოგეშველები. — დასტოვდა ამბავს და გასწევდა დატვირთული მეჯვრისხევის ფოსტისკენ.

— ოი, ღმერთო, შენ ამოსწყვიტე, ვინც ეს უბედურება თავს მოგვახვია! — დაიწყებდა წყევლა-კრულვას მაშო...

ჯერ იყო და ჩემი ვასო დაჭრეს ხალხინგოლთან, თუ რაღაც ჯანდაბაა, იმ ქალაქთან. ტყვიით დაცხრილული ჩამომივიდა, დედა მოუკვდეს იმასა. „სიმამაცის“ მედალი იმის მეტს მაშინ ჩვენს რაიონში არავისა ჰქონდა; აქ აღარ გაუხარია. წლამდე ძლივს ვაცოცხლე, წელიწადი არ შეაღწევინოს ღმერთმა ი ხიტლერია, თუ ვიღაც ოხერი! რა ვქნა, ნეტა ჩემი დათა, მიხო და ბაგრატა მშვიდობით დამიბრუნდნენ და ვასოს მკვდრად აღარ ჩავთვლი — მაინც სულ იმას ამბობენ: ცოცხალია, არ მომკვდარაო.

ქვეშელი მამაკაცები იქ იყვნენ, სადაც ქვეყნის ბედი წყდებოდა, ქალები აქ შრომობდნენ.

— ბრიგადირები — ქალები, მერგოლურები — ქალები; მაშ რა გვექნა?! — ამბობენ ახლა უკვე პენსიონერები.

შრომამ შეგვიმსუბუქა ნაღველიო, — იტყვიან ხოლმე მარგალიტა, ტასია, ნინო, თამარი, მარუსა და ვინ მოსთვლის, რამდენი — ომში დაღუპულთა ტოლები.

— რა პატარა ჩემი ქმარი იყო, ტყვიას ვერ ეპოვაო, — ახლაც იტყვის ხოლმე ვარო ელიზბარაშვილი, — ორ მეტრს აღარა უკლდა-რა. ხუთი შვილი დამიტოვა... — აბა, შენ იცი, თაყაძეების ქალოო!.. წავიდა და აღარ დაბრუნდა... დავზარდე შვილები, ქვეყანასაც პირნათლად ვემსახურე. ერთი ბოლჩა ფული ვასესხე მთავრობასა, სურათი კინოსათვის სწორედ მაშინ გადამიღეს. გუშინწინ რვაასი მანეთი შემოიტანა ჩემმა გურამმა: — ობლიგაციამ დაფარაო. რა ვუყოთ, მშვიდობა იყოს და რა ვქნა, სულაც აღარ მოვიგონებ მაშ ანდელ გაჭირვებასა.

სკოლის დამლაგებელი კატუშა მარტო კინო „არსენას“ ნახულობს.

არსენა დევგმირობით ჩემს დევგმირ ლექსასა ჰგავსო. იმას რომ დავინახავ, გული მიხარისო.

— ჩემი ქმარი იქა ომობდა, მე — აქ. არც ქვეყნისთვის მიღალატია, არც ჩემი ოთხი შვილისთვის; ზამთარში ტყეში დავდიოდი შეშა-ფიჩხისათვის, დანარჩენ დროს კოლმეურნეობის ველ-მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს არ ვაკლდებოდი. შრომა გვიფასდებოდა, ოჯახსაც ვაკმაყოფილებდით და ფრონტსაც ზურგს ვუმაგრებდით. ასე იყო საჭირო.

— დედა ენაცვალოს, ჩემ კატოსა! — იტყვის ხოლმე მარო, — ვაჟკაცის თვალტანადობა აქვს და ვაჟკაცებთან იყო. მტერს ბერლინამდე სდია. იქიდან ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დამიბრუნდა. ახლა სტალინის მადლობა რამდენი აქვს?! კარგი ოჯახი შექმნა, ოქროსავით ქმარ-შვილი ჰყავს, ბინაც კარგი მისცეს გორში და ავტომობილიცა.

ეგრე იყო მაშინ საჭირო, — იტყვის ხოლმე ჩემი სახელოვანი ქალი. სამშობლოს სიყვარული ძალას გვმატებდა, ყველაფერს ვიტანდით, რაც გამარჯვებისათვის გვჭირდებოდაო.

ქარიშხალმა გადაიარა. ვერაგ მტერს თავის ბუნაგში გააფრთხობინეს სული. დღითიდღე მატულობს ომის მონაწილეებისადმი პატივისცემა და დაფასება.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. შინმოუსვლელთა მეუღლეები და დედები დარწმუნდნენ, რომ გმირები არ კვდებიან.

**ელენე ქონიაშვილი,**

**გორის რაიონის სოფელი ქვეში,**

**პედაგოგი.**

# მსოფლიოს პოეტები დედას

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავსტრალია
როზმერი დობსონი

### დედა და ქალიშვილი

ქალიშვილის გულს პირველი ელდა
დაუფლებია, როგორც გრიგალი, —
ო, იცის დედამ,
ო, იცის დედამ,
როგორ ამოხსნას ძველი იგავი.

შინ ხტუნვა-ხტუნვით ბრუნდება გოგო,
მკლავებს ფრთებივით შლის და ტკარცალებს,
ბედნიერია ჩიტივით, ოღონდ
ჩიტივით ფრენა თუ დააცალეს.

ქადაგად დგება და გასაფრენ ჩიტს
ფრენას ასწავლის დედა-ფრინველი,
პირველ სიყვარულს,
მაცდურ სიყვარულს,
რომ განაშოროს მსხვერპლი პირველი.

მაგრამ სიყვარულს ლოდინი არ სურს,
იგი არასდროს არ ითხოვს პასუხს, —
მოდის, იტაცებს რაც გზაზე ხვდება...
დგას, ასავსავებს უაზროდ ხელებს
ბედნიერი და უძლური დედა.

## აზერბაიჯანი
რასულ რზა

### დედა

ქორი დაეშვა,
როგორც შურდული
და წიწილებმა როცა იწივლეს,
შვილების შიშით
გულდამდუღრული
გადაეფოფრა კრუხი წიწილებს.

უცებ შევუშვი
ჩემს თოფს მარჯვენა,
აზრმა დაიწყო გამოდარება, —
იქ, სადაც დედა
შვილს ესარჩლება,
უაზრობაა ალბათ ჩარევა!

## დაღესტანი
ფაზუ ალიევა

### ძუძუს წოვს ბავშვი

ძუძუს წოვს, ძუძუს,
ახალშობილი,
დგება ხალამო წყნარი,
ღილჩახსნილ პერანგს
ნათელი ადგას
რძემოძალებულ მთვარის.

გასუსულია მთელი ქვეყანა,
როგორც მთვლემარე ნისლი,
ო, ირგვლივ მხოლოდ
მშიერ ბაგეთა
ტკბილი ცმაცუნი ისმის.

თხვლეპს ბავშვი რძეს და
რძეში იზრდება,
თხვლეპს და თავიდან ითხოვს,
კაცობრიობის ავლადიდება
მის კისერზეა თითქოს.

სადღაც წვიმაა,
სადღაც თოვლია,
სადღაც გლოვაა იქნებ,
და ფრინველივით
შელანძოლია
ფრთებივით იქნევს ფიქრებს.

სადღაც ცივდება
ოცნება ქარში,
სადღაც ჩერდება გული...
მაგრამ აქ ახლა
ძუძუს წოვს ბავშვი
და ხიმშვიდეა სრული.

ო, სიჩუმეა
ახლა საჭირო,
ჟეფს ცივ ჰიშკართან ლეკვი,
გაშიშვლებული
ბავშვის ხხეული
დედის შიშველ მკერდს ეკვრის.

და პირში ჩადის
თბილი რძის ხხივი,
რძით მოთხუპნია ლაწვი...
იტყვით, ო, მთელი
დედა-ბუნება
ძუძუს აწოვებს ყმაწვილს.

და მიდის, მიდის
სიცოცხლის გზაზე,
დიდი სიცოცხლე მიდის,
სადღაც აწრთობენ
უჟანგავ ფოლადს,
სადღაც აწრთობენ სინდისს.

სადღაც აგებენ
სახლებს, ქალაქებს,
ხნავენ, თესავენ, მკიან...
იქ, რასაც მთელი ცხოვრება ჰქუხდა
აქ ბავშვის კვება ჰქვია.

რძეში დასცურავს
ოცნების ჩიტი,
ნატვრაც დასცურავს რძეში,
მთვარე ისე დევს
ლრუბლის ხუფრაზე,
როგორც რძით სავსე თეფში.

სადღაც ლხინია,
სადღაც ჭირია,
ხდება ბევრი რამ, ხდება,
მაგრამ აქ ახლა
ჩვილ ცრმას ლიღინით
ძუძუს აწოვებს დედა.

რა არის მიწა,
ბედის სასწორი,
ზეცა, კოსმოსი, ქარი,
ძუძუს აწოვებს, ძუძუს აწოვებს,
მშიერ ბიჭუნას ქალი.

ვდგავარ... ვოცნებობ...
ცისფერ დარბაზებს
გზა-გზა ვაშენებ ბედად...
დედა-შვილს ვხედავ
ამ ქვეყანაზე,
სხვას ველარაფერს ვხედავ.

## პოლონეთი
ანნა კამენსკაია

### მტრედები

რკინისმკლავება ლიანდაგებო,
შიში მაქვს თქვენი,
შიში მაქვს ქუჩის,
მანქანების,
ტრამვაის შიში, —
ძრავათა ქშენა ჩამესმის ძილში,
რა ვქნა, ვერ ვიტან
გულქვა სადგურებს...
ჩემი ბიჭუნა უბრალოდ ახლა
თეთრი ხელებით მტრედებს აპურებს.

ჩემი სისხლ-ხორცი აპურებს მტრედებს,
ღრუბლები სადღაც მჭრიან ლანდებად,
თეთრი ფრინველი
მიკენკავს ფიქრებს,
ფრთებს გაშლის უცებ
და ცისფერში უჩინარდება...

წყნარდება ქუჩა...
ყველაფერი დადგა...
მიჩუმდა...
ტროტუარებზე სიხარულით
ველარ ვეტევი...
თვალებს ჰუტავს და
მეკითხება
ჩემი ბიჭუნა:
— მითხარი, დედა,
სად ცხოვრობენ
ჩვენი მტრედები?
— კლდეში ცხოვრობენ,
ტყვიებით რომ
დაცხრილეს ერთხელ,
გადამწვარი ხის ფუღუროშიც
ცხოვრობენ ხშირად,
სახურავებზე, ძეგლებზე, სხვენზე,
ფრთადაკეცილებს თოვლივით სძინავთ.

ახლადაგებულ სახლებში სძინავთ,
როგორც ეძინათ დიდი ხნის წინათ,
შენს მშვიდობიან
ღვიძილში, ძილში.
ახლადაგებულ სახლებში სძინავთ,

რკინისმკლავება ლიანდაგებო,
შიში მაქვს თქვენი...

## უკრაინა
ლუბოვ ზაბაშტა

...

შვილს ავიწყდება დედა ხანდახან,
ატირებულან ცაცხვები ბაღში.
ნუთუ იმედის ტოტი გადახმა,
ო, ნუთუ გამზრდელს
გაზრდილი ბავშვი
არ გაიხსენებს აღარასოდეს?!

ცრემლი ცრემლია, ქვასაც გაალღობს,
კიბეზე ადის ბალახი ურცხვად,
ბიჭს იქნებ ძველი სახლი არ ახსოვს,
არც მისამართი არ ახსოვს, თუმცა
როგორ იქნება გზა არ ახსოვდეს?!

ვინც მშობელ დედას გადაივიწყებს,
ო, მას ადვილად დაავიწყდება,
ყველაზე ტკბილი სიმღერა — ნანა,
მიწა, რომელზეც ისწავლა ფრენა,
ენა, რომელზეც
აიდგა ენა,
კერიის ცეცხლი, შრიალა ყანა...

ვინც მშობელ დედას გადაივიწყებს,
რა რჩება ქვეყნად, —
იქნებ გვირგვინი?
იქნებ პორტფელი, ან სავარძელი,
ან იქნებ თივით სავსე ხაბძელი...

ო, დედაშენი არ გინახია,
გამაგებინე როგორ გაძელი?!

## ამერიკა
გვენდოლინ ბრუკსი

### უშვილო ქალი

სათამაშოებს ყიდულობდა უშვილო ქალი,
იყო საოცრად ხელმომჭირნე,
ო, მაგრამ მაინც
ძვირფას თოჯინებს ყიდულობდა
უშვილო ქალი,
დისშვილებისთვის ყიდულობდა ძვირფას თოჯინებს.
ქუდს იხურავდა,
იცინოდა ამვლელ-ჩამვლელი,
თმის ვარცხნილობით აოცებდა ყველას ერთიან,
თმაში სავარცხელს გაიყრიდა,
კაცი იტყოდა, —
სარკეში ჯერ არ ჩაუხედია.

კატებს უვლიდა, აპურებდა ბეღურებს ბაღში,
ლვეზელს აცხობდა,
ფუსფუსებდა მთელი დღე სახლში,

დისშვილებისთვის ფუსფუსებდა უშვილო ქალი.
დები კი, თუმცა არ იხვევდნენ თმას არასოდეს
და არც სარკის წინ კოხტაობდნენ
ჭრელი ქოლგებით,
ბავშვებს უვლიდნენ, როგორც მშობლები.

წამლებს ასმევდნენ, ჭუჭყს აცლიდნენ,
წინდებს უქსოვდნენ,
უუთოვებდნენ, უმზადებდნენ საუზმეს, სადილს,
აჭმევდნენ ხვეწნით,
აძინებდნენ დალლილებს ძალით...
ის კი ყოველდღე ყიდულობდა სათამაშოებს,
ძვირფას თოჯინებს ყიდულობდა უშვილო ქალი.

## ალჟირი
ბუალემ ხალფა

* * *

ახალშობილის თვალებში მუდამ
ახალშობილი ცრემლია წმინდა,
ახალშობილი ცისკარი ტირის, —
ცვარი ცრემლივით ილვრება ციდან.

მზე პირს იბანს და
ცრემლივით ჩნდება
სინათლე, რადგან
დღე იბადება...
ქალს მშობიარეს ცრემლები წყდება?
მაშასადამე, სიცოცხლე ჩნდება!

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

# ე. წ. „ათასი წვრილმანი"



ვერ იქნა და ვერ აეწყო ინტერვიუ გაგრის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსთან — ვახტანგ შარანგიასთან. პირველ შეკითხვაზე — როგორ მიაღწიეთ ხუთწლედის პირველ ოთხ წელიწადში საყოფაცხოვრებო მომსახურების ქალაქში ორჯერ, სოფლად ორნახევარჯერ გაზრდას-თქო, მან გვიპასუხა: ჯერ კიდევ რეზერვებს სრულად ვერ ვიყენებთ, თორემ მაჩვენებლები კიდევ უკეთესი გვექნებოდაო.

მერე დავინტერესდით: შარშან ათი დღე-ღამის განმავლობაში როგორ მოასწრეს კილომეტრიანი სანაპირო ზოლის კეთილმოწყობილ პლაჟად გადაქცევა, მისი გადასწორება, აღჭურვა შეზლონგებით, ქოლგებით, ტენტებით, საშხაპეებით, გაშქირავებელი პუნქტებით, პავილიონებითა და ყველა იმ სიკეთით, რაც ასე გულს ეფონება ზღვაზე ჩამოსულ, საგზურის ვერშოვნით გულდაწყვეტილ „ველურ" დამსვენებელს...

ამაზე კი მოგვიგო: ყველა ამგვარ სიკეთეს ჩამოსული კაცი არაფრად ჩააგდებს, თუ თან მომსახურე პერსონალის თავაზიანი ღიმილი და დაუზარელი გარჯა არ ახლავს. არადა, უხიაგობისა და მცონარობისაგან დაზღვეული, სამწუხაროდ, არ ვართო.

და ასე!

ჩვენ წარმატებების მიზეზს ვეკითხებოდით, იმას საუბარი ნაკლოვანებებისკენ მიჰყავდა. ჰოდა, ბოლოს, მოთმინებადაკარგულებმა ვკითხეთ:

— თქვენ გინდათ სთქვათ, რომ ნაკლოვანებებისათვის მოგანიჭეს 1974 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის წოდება და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშაც ამისთვის მიიღეთ?

ამაზე გაეცინა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სთქვა:

— ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გავიხარებდით, როცა გაგვიგეთ, რომ სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვსულვართ? გულახდილად გეტყვით: ამაზე ოცნებასაც ვერ ვბედავდით! განა იმიტომ, რომ მუხლჩაუხრელად არ ვშრომობთ! მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი საყოფაცხოვრებო უწყებაა ამ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში! მარტო საქართველოში ხომ ოთხმოცდაექვსია! ჰოდა, როცა ასე გაგვიმართლა, როცა სეტყვასავით დაგვაცვინდა თავს ამდენი წყალობა: საკავშირო, საქართველოს, აფხაზეთის რესპუბლიკური, გაგრის საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის, აფხაზეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების გარდამავალი დროშები, დიპლომები, პრემიები — იმ დღიდან უზარმაზარი საზრუნავიც დაგვეუფლა: როგორმე შევინარჩუნოთ ეს მაღალი ჯილდო, რახან მოვიპოვეთ, დავეპატრონოთ კიდეც ამ გამარჯვების სიხარულთან ერთად, ეჭვის ჭიაც გაჩნდა: ჯეროვნად ვიყენებთ კია არსებულ რეზერვებს? კეთდება ჩვენში ყველაფერი ადამიანის სანიმუშო მომსახურებისათვის, მათთვის ხალისიანი გუნებ-განწყობის შესაქმნელად, საოჯახო შრომის გასაიოლებლად?

ჰოდა, ჩვენმა რვაასკაციანმა კოლექტივმა გადაწყვიტა: არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, — აი, რა უნდა იქცეს ჩვენი მუშაობის უმთავრეს ნიშნად! გარჯა დაგვიფა-

სდა? კიდევ უფრო გავისარჯოთ. გვახსოვდეს, რომ ჩვენსავით თავდაუზოგავად მუშაობს ათასობით კოლექტივი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში. ისინი ჩვენი მეტოქენი არიან და შეიძლება. ხვალ ბედნიერი მეტოქე აღმოგვაჩნდეს. სხვათაშორის, იმ სასიხარულო ცნობის მიღების შემდეგ, პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩვენი ყველა კეთილი წამოწყების მხარდამჭერმა, მირჩია ახლა, როცა თათბირებზე, შეკრებებზე სიტყვით გამოსვლა ან ჟურნალისტებთან საუბარი მოგიწევთ, გახსოვდეთ, თავის ქებას ნუ მოჰყვებით, ნურც ნურაფერს შეალამაზებთ. ჯობს, უფრო მეტი ნაკლზე ილაპარაკოთო.

დიახ, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობის სტილად გადაიქცა! და განა ეს გარემოება არ დაეტყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მაჩვენებლებს?

საყოფაცხოვრებო მომსახურება ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ხუთწლედის დამკვრელურ უბნად არის გამოცხადებული. პარტიის XXIV ყრილობამ ამ სფეროს მუშაკთა წინაშე მართლაც რომ საბრძოლო ამოცანა დასახა — მეცხრე ხუთწლედში ორჯერ უნდა გადიდდეს ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა, ხოლო სოფლის მოსახლეობისა — 2,8-ჯერ.

გაგრის საქალაქო სამმართველოს კოლექტივმა ეს დავალება ოთხ წელიწადში შეასრულა. მარტო შარშან მისი 186 ობიექტი მილიონ ორასიათას მშრომელს მოემსახურა. როგორც გამოთვალეს, ზაფხულის ე. წ. „პიკის“ თვეებში ამ სამუშაოს შესრულებას ათას ოთხასი კაცი მაინც მოუნდებოდა, გაგრაში კი ამ საქმეს რვაასმა კაცმა გაართვა თავი.

1975 წელს აქ ახალი ვალდებულებების აღებით შეხვდნენ. საკურორტო სეზონის დაწყებისათვის კაპიტალურად შეკეთდა სამკერვალო და ფეხსაცმელის შემკეთებელი სახელოსნოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები, ქალაქის კიდევ ერთი კილომეტრიანი პლაჟი კეთილმოეწყო და აღიჭურვა ოცდაშვიდიათასი მანეთის საპლაჟე ინვენტარით; ცისფერი ტბის მიდამოებში დაიდგა რამდენიმე პავილიონი, სადაც განლაგდა სასწრაფო ფოტოგრაფია, კინო-ფოტო-ფირების გამომმჟღავნებელი და ხმის ჩამწერი სალონები და სხვა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების მშვენიერი კომბინატი აშენდა კურორტ ბიჭვინთაში. ლესელიძის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში დაიდგა ქიმწმენდის უახლესი აპარატი და გაიხსნა გაზის პორტატული ბალონების გამომცვლელი პუნქტი. გაგრის „ჩერიომუშკამ“ ასაწყობი კონსტრუქციების ორი პავილიონი მიიღო სამკერვალოთი და ფოტოსალონით. საყოფაცხოვრებო მომსახურების კეთილმოწყობილი ობიექტები გაიხსნა სოფლებში: ბზიფში, ლიძავაში, კოლხიდაში. კოლმეურნეობა „მეგობრობაში“ სრული დატვირთვით მუშაობს სამკერვალო სახელოსნო, რკინის ბადურების დამამზადებელი საამქრო და საპარიკმახერო.

სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება დღეს პრობლემათა პრობლემა გახლავთ. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ მეცხრე ხუთწლედში ნავარაუდევია მისი მოცულობის 2,8-ჯერ გაზრდა. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკა ამ დარგის მაჩვენებლებით ბევრად ჩამორჩება სხვებს.

როგორ ასრულებს გაგრის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო სოფლის მშრომელთა მომსახურების გეგმებს? თავად განსაჯეთ: წლევანდელი მაჩვენებლები იმის საფუძველს იძლევა, რომ ხუთწლედის დავალებას აქ 5 დეკემბრისათვის შეასრულებენ და სოფლის მუშაკთა მომსახურებას გაზრდიან არა 2,8-ჯერ, როგორც დაგეგმილი იყო, არამედ 3,8-ჯერ!

— მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს გამოუყენებელი რეზერვები, — გვეუბნება სამმართველოს უფროსი, — და მათი ამოქმედება დიდად წასწევდა წინ ჩვენს საქმიანობას, საერთოდ, მთელს რესპუბლიკაში. მაგალითად, თუ ისეთ დიდ სპეციალურ საწარმოებს, როგორიცაა ქიმწმენდა, სამრეცხაო თუ ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, სოფლის მშრომელთა სამსახურში ჩავაყენებთ, დიდ ეფექტს მივიღებთ. როგორ უნდა განხორციელდეს ეს ამბავი? — სოფლებში კომპლექსური მიმღები პუნქტების ჩამოყალიბებით. ამ პუნქტებში მიიღებენ დაკვეთას ტანსაცმლის შეკერვაზეც, მის გაწმენდაზეც, გარეცხვაზეც, ავეჯის შეკეთებაზეც (ჩვენს რაიონში, მაგალითად, მომსახურების 19 სახეობა გვაქვს დანერგილი). ჰოდა, რამდენჯერ უთო გაფუჭდება ან ფეხსაცმელი გაირღვევა, იმდენჯერ რაიონულ ცენტრში და ქალაქში ადამიანს რომ სირბილი აღარ მოუწევს, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ასეული საათი დაეზოგება საერთო სახალხო საქმეს?

დიახ, იდეა მშვენიერია, მაგრამ მის განხორციელებას ის აბრკოლებს, რომ რატომღაც ძალიან გაძნელდა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ამ პუნქტებისათვის პატარა შენობის გამოყოფა. რატომ არ იჩენენ ინიციატივას მეურნეობების ხელმძღვანელები? განა, პირველ რიგში, ისინი არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მუშაკაცისა და, განსაკუთრებით, მშრომელი ქალის საოჯახო საზრუნავისაგან განთავისუფლებით?

ვახტანგ შარანგია თავისი საქმის დიდი ენთუზიასტია. მასთან საუბარი იმით არის საინტერესო, რომ ყველა წამოწყებას, ყოველ ახალ საქმეს ის განვითარების პერსპექტივაში ხედავს და მღელვარების გარეშე მომავალზე საუბარი არ შეუძლია. როგორია მის წარმოდგენაში საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მომავალი, ეს ყველა დიასახლისისათვის საოცნებო სერვისი?

ეს არის თვალწარმტაცი კომბინატები, აღჭურვილი უმძლავრესი დანადგარებით; შინ მირთმეული ყოველგვარი დაკვეთები (ცხრამეტი სახეობის კი არა — ათჯერ მეტი!); დაკრიალებული ბინები და სახლისწინა გაზონები, საათივით მოვლილ-აწყობილი ავტომანქანები. ეს არის ლამაზად მოვლილი ქალები, ელეგანტური მამაკაცები და კოპწია ბავშვები...

მაგრამ ამჟამად სამმართველოს უფროსს უფრო კონკრეტული სახის ოცნებაც გააჩნია — ერთი თექვსმეტკილოგრამიანი სარეცხის საშრობი დოლი, რომლის მიღებას ვერა და ვერ ეღირსა, არადა უმისობა ხელს ძალიან უშლით: სარეცხი მანქანების წარმადობა ბევრად აღემატება საშრობისას.

მაღალკვალიფიციური, დახელოვნებული კადრების შოვნა საყოფაცხოვრებო სფეროში საერთოდ უჭირთ. სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ ექცევა საჭირო ყურადღება ამ დარგის (განსაკუთრებით სოფლის მშრომელების საყოფაცხოვრებო სამსახურის) მუშაკთა მომზადების საქმეს.

მეორე და არანაკლები მიზეზი ადამიანებში ჯერაც შემორჩენილი ტუჩაბზუება გახლავთ ამგვარი სამსახურის მიმართ. როგორ, პარიკმახერად ვიმუშაო? მრეცხაობა გავიხადო პროფესიად?

მაგრამ, უკაცრავად! არც საყოფაცხოვრებო უწყების ხელმძღვანელობა ეგებება (ამ მუშახელის გაჭირვებაში!) ყველას ხელგაშლით. უხეშსა და უქნარას აქ სათოფედ არ იკარებენ. სანამ მუშაკს სამსახურში მიიღებენ, ჯერ მის წარსულ საქმიანობას შეისწავლიან, მერე პროფესიულ ოსტატობას და, რაც მთავარია, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უნარს ამოწმებენ. სხვაგვარად როგორ იქნება! საყოფაცხოვრებო სამსახურს ახლა კარგი გუნებ-განწყობის სამსახურიც ჰქვია! გეგმა, გეგმაა, მაგრამ მის შესრულებას მაშინა აქვს ფასი, როცა ადამიანების მადლობებიც ახლავს. გაგრელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარი მადლობებით სავსეა მათი საყოფაცხოვრებო კომბინატების, მიმღები პუნქტებისა თუ სახელოსნოების საჩივარ-წინადადებების წიგნები. მადლობას უხდიან დაკვეთის ხარისხიანად შესრულებისათვის, პუნქტუალობისა და თავაზიანობისათვის.

იყო დრო, როცა ზოგიერთ საზრუნავს ყოფით წვრილმანებს ეძახდნენ. ყველა, ყველა და ჩვენ, დიასახლისები, ამას „წვრილმანს“ ვერ ვუწოდებთ. განა ცოტას ნიშნავს, რომ მთელი დღის განმავლობაში სარეცხის მანქანასთან და საუთოო ფიცართან არ ჩამოწყდები და ბინაშიც სარეცხი ფხვნილის ოხშივარი არ ტრიალებს?

განა მთელი დღე არ გაგყვება სიხარული იმის გამო, რომ ქიმწმენდიდან გაახლებული დაგიბრუნდა საყვარელი კაბა?

იქნებ, ვინმესთვის ეს მართლაც წვრილმანებია?

მაგრამ, დამერწმუნეთ: ჩვენთვის, ქალებისთვის — არა!

**ნანული ბარათაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი ბალადის ავტორი — მთქმელი

ქართული ლიტერატურისმცოდნეობის გამოჩენილი წარმომადგენელი ვახტანგ კოტეტიშვილი თავის შრომაში „ხალხური სიტყვიერება“ წერდა: „ლექსი „შატილს გადიდდა ხოხობი“ ძალიან არის გავრცელებული როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთში, აგრეთვე ბარშიაც (აღმოსავლეთი საქართველო). ამ ლექსის ვარიანტებისაგან შესაძლოა ერთი წიგნი შესდგეს, საკმაო დიდი ზომისა“.

მართლაც, ბალადა „შატილს გადიდდა ხოხობი“ ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში მრავალი ვარიანტით, ცალკეული ფრაგმენტებითა და პლასტებით არის წარმოდგენილი. ბალადის ვარიანტებიდან შეიძლება დასახელებული იქნას ოთხი ძირითადი, ესენია: აფშინაშვილისეული, კარგარეთელისეული, რაზიკაშვილისეული და კოტეტიშვილისეული.

ინტერესმოკლებული როდია გამორკვეული იქნეს, ჰყავს თუ არა ხალხურ ბალადას ავტორ-მთქმელი და ვინ შეიძლება იყოს იგი. მაგრამ ჯერ ბალადის შესახებ.

ქართულ ხალხურ ბალადებში, განსაკუთრებით კი ლირიკულ-ეპიკურ ბალადებს შორის „შატილს გადიდდა ხოხობი“ თავისი ლირიზმითა და ალეგორიულობით გამოირჩევა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხალხურ პოეზიაში იშვიათად თუ მოიპოვება მეორე ამის მსგავსი ბალადა, სადაც პოეტური სახეები ასეთი სისრულით იყოს გახსნილი და გააზრებული.

ბალადის სიუჟეტი ასეთია: შატილში მოფრინდა ხოხობი და არწივის ნაბუდარზე ბინა დაიდო. დაზარდა შვიდი წიწილი, რომელთაც გმირული სული ჩაუდგა. როცა დავაჟკაცდნენ, დედამ ყველას ჯავშანი ჩააცვა, ფარხმალი შეასხა და შვიდივე ხოხობი — ვაჟკაცი სოფელ ახადში გოდერძის ციხეზე საიერიშოდ გაგზავნა, თანაც დაავალა — გატეხეთ გოდერძის ციხე და გამოიყვანეთ გოდერძის ლამაზი ქალი თამარიო.

დედის დარიგება და დავალება ვაჟკაცებმა წარმატებით შეასრულეს. გატეხეს უმტკიცესი ციხე-სიმაგრე, გამოიყვანეს თამარ-ქალი და გზას გაუდგნენ. ქალიშვილი ცრემლად იღვრებოდა. თამარის მამამ გვიან გაიგო ციხის გატეხვა და ასულის გატაცება. შეჯავშნული დაუყოვნებლივ მტერს დაედევნა, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო, უკან მობრუნებულ გოდერძის წინ შემოეყარა შვილის უბედურებით სახედალარული, გულშეღონებული მეუღლე.

მოძალადე ხოხბის შვილები თავს გამარჯვებულად თვლიდნენ, მაგრამ დახეთ მათი დედის უბედურებას: მათურის მთაზე გადასვლისას, არჭილოს ჭალაში, წინ ფშაველი გიგლია თადიაური შემოეყარათ. გიგლია ერთი შეხედვით მიხვდა, რომ ქალი მოძალადეებს მიჰყავდათ და არ მიესალმა, სამაგიეროდ მყისვე შეუძახა: „პასუხ მითხარით წამზედა, ეგ ქალი საიდან მოგყავთ, ცრემლი რომ მოსდის თვალზედა“. ხოხბის შვილები ფშაველის სიტყვას ბანზე აგდებენ, მაშინ გიგლია თადიაური პირდაპირ მიმართავს მათ: „მოდი, გაუშვით ეგ ქალი, ნუ გავალთ მუქარაზედა“. ამის გაგონებაზე მოძალადენი შეუყვირებენ: „რამ გადაგრია, ფშაველო, რაშ შეგაწყინა ჭკვაზედა“. აღელდა გიგლია თადიაური, თხის ტყავი გაიძრო, რკინისპერანგჩაცმულმა ფრანგულზე ხელი გაიკრა. ხოხბის შვილებმაც იძრეს ხმლები, შეუტიეს გიგლიას, შვიდი ერთს უტევდა. გიგლია ძალზე მარდი მოფარიკავე გამოდგა. აშკარა უთანასწორო ბრძოლა გიგლიას გამარჯვებით დამთავრდა. მან შვიდივე მოძალადე მოკლა, იარაღი ახსნა და თამარ-ქალს გადასცა. ერთი ხმალი წელს შემოირტყა, და და-ძმობა უთხრა, თანაც დააბარა: როცა სახლში მიხვიდე, მამა გოდერძის უთხარი, მტრები მე დავხოცე-თქო, ჩემი სახელი არამც და არამც არ ახსენოო (საქმე იმაში იყო, რომ გიგლია და თამარის მამა ნამდურავად იყვნენ, მტრობა ჰქონდათ).

თამარი ამაზე არ დაყაბულდა და თავისი მხსნელი მშობლებს წარუდგინა. მათ დიდად დაუმადლეს. მაგრამ გიგლია შეურყეველი დარჩა:

„გამოეთხოვნენ ერთმანეთს,
ცრემლი სდიოდათ თვალზედა“.

ვაჟა-ფშაველა ამის თაობაზე წერს: „გიგლია როდი სარგებლობს შემთხვევით, ქალს დობას ეუბნება და იქამდე დიდსულოვანია, რომ არც კი უნდა გააგებინოს ვისმე, თუ იმან სასახელო საქმე ჰქნა და ვაჟკაცობა გამოიჩინა, გიგლიას შვიდი ქისტის მოკვლა არ უკვირს და არც სხვა უნდა გააკვირვოს ამით. კიდეც რომ დაიწყოს კვეხნა, ამით უფრო დაამცირებს თავის თავს, აბრუს გატეხს, რადგან გმირს არ შეშვენის კვეხნა და ტრაბახი“.

(ვაჟა-ფშაველა, თხზ. კრებული, ტ. IX, გვ. 84).

ფრიად საინტერესოა, რომ ამ სწორუპოვარი ბალადის ავტორ-მთქმელი ფშაველი ქალია, რომელსაც ეს ბალადა მწუხარების ჟამს გამოუთქვამს:

„ამა ლექსაის მოთქომი,
ქალი ვარ, ვზივარ კარზედა;
ხელში ჩხირ-წინდა მიჭირავ
ცრემლი ჩამამდის თვალზედა.
გაჭირდა, სიტყვას ვერ ვამბობ
მგლოვიარე ვარ ძმაზედა“.

ჩვენს ხელთ არსებული ბალადის ვარიანტებიდან არსად ჩანს მისი ავტორის ვინაობა. ის კი ნათლად მტკიცდება, რომ სასახელო პოეტი სოფელ არჭილოდან ყოფილა.

არ არის გამორიცხული, როგორც ეს ხდება ხოლმე ხალხურ შემოქმედებაში, ავტორ-მთქმელმა თავმდაბლობა გამოიჩინა და თავისი ვინაობა არ დაასახელა. ჩვენ, ჩვენის მხრივ გვგონია, რომ ამ ბალადის ავტორ-მთქმელი დიდად ნიჭიერი სახალხო მოლექსე, ფშაველი ქალი ბაბალე მინდოდაური უნდა იყოს.

ვახტანგ სიდამონიძე

## მერი ბიწაძე

* * *

დედი, ფანჯარა დატოვე ღია,
დედი, კარები დატოვე ღია,
ფანჯრიდან ჩიტი შემოფრინდება,
შემოგოგდება კარიდან ია;
გზა აერევა ჭია-მაიას,
შინ შემოყვება მზესა და ნიავს...
დედი, კარები დატოვე ღია,
თორემ აბა რა გაზაფხულია?
იქნებ წამოვდგე, დედი, ნელ-ნელა
და საცეკვაოდ გავყვე პეპელას?
. . . . . . . . .
დედი, ოთახი დატოვე ღია...

* * *

ნეტავ ეს რა მემართება დღეს?
რად ვიბნევი, რად ვიცინი ბევრს?
ტკბილი სიტყვა ვინ მასმინა დღეს,
ასე შვებით გული რატომ ძგერს,
ასე რატომ ვლამაზდები დღეს?
. . . . . . . . .
ჩამოიღეთ გიტარა და თარი,
იქნებ ვინმემ შემაყვარა თავი?
. . . . . . . . . . .
იქნებ გზაზე სიყმაწვილე შემხვდა,
დამაბრუნა ჩემს საყვარელ მერხთან?
იქნებ ვინმემ გამასწორა ღმერთთან,
სიყვარულის ჯადო მომცა ხელთა?
. . . . . . . . .
ჩამოიღეთ გიტარა და თარი,
ვაჰ, თუ ვინმემ შემაყვარა თავი?

### თუ მოველი

თუ მოველი, სიხარულით მოვალ,
გაზაფხულის ქარიშხლებით მოვალ,
როცა იწყებს კვიპაროსი ბოლვას
და ღრუბლები დგანან გორა-გორა,
აი, როდის მოვალ...

თუ მოველი, სიამაყით მოვალ,
ვარსკვლავების სიკაშკაშით მოვალ,
სილამაზის საგალობლით მოვალ,
ერთი წმინდა ნაკადულის ტოლა.

. . . . . . . .

თუ არა და... არასდროს არ მოვალ.

### სიხარული

მინდა ბალახებში თავი მივდო,
მინდა სიხარულით გავირინდო.
მინდა გულზე მიწა დავიყარო,
და ზედ გვირილებმა გაიხარონ,
მინდა მთვარე დაბლა ჩამოვიღო,
თავქვეშ ბალიშივით ამოვიდო...
მინდა ბალახებში თავი მივდო,
მინდა სიხარულით გავირინდო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

## სიმდიდრე

შემოიჭრია გაზაფხულმა გულში მერცხლის ფრთა,
შემოიჭრია და ამავსო ოქრო-ვერცხლითა,
დაატრიალა გაზაფხულის ქარმა ბორბალი
და შეაყარა ნამძინარევ ხეებს ხორბალი.
ტყეთა ნიავი გარეთ მიხმობს ღია სარკმლიდან,
მოვძებნე ია და გავმდიდრდი ცოდო-მადლითა.
აივსნენ ველის ყვავილები მზით და თაფლითა,
ლამაზ ბუდეებს იშენებენ ჩიტნი ჯაფითა.
შემოიჭრია გაზაფხულმა გულში მერცხლის ფრთა,
შემოიჭრია და ამავსო ოქრო-ვერცხლითა.
მსურს გაზაფხულის ქარებს ვდიო ვცოცხლობ სანამდი,
რომ ეს სიმდიდრე მოვაბნიო კარით-კარამდი!

* * *

მეც შევერიე გაზაფხულს თითქო,
თითქო მასავით მეც ვმეორდები,
ასე მგონია მოვა ვიღაცა,
რომ დამამტვრიოს მწვანე ტოტები.

## ვიღაც მეძახის გუგულის ხმებით

ვიღაც მეძახის გუგულის ხმებით,
ვიღაცა მავსებს შფოთით და გზნებით;
ვიღაც მაშხეფებს გულზე ჩანჩქერებს,
ვიღაც ადგილზე აღარ მაჩერებს,
ვიღაც მისვლებს ცრემლით წამწამებს,
მაღვიძებს, ძილში სადღაც მაჩქარებს.

• ◦ • • ◦ • •

ნეტავ ვინ არის, რა უნდა ჩემგან,
რად არ მასვენებს, რას დამდევს ყველგან?
და როგორც ზოგ-ზოგს, მე რად არ მაძლევს
უქმად ჯდომის და გართობის ნებას?
იქნებ ესაა ხმა წინაპრების, —
ჯერ უნახავი ძველი ტაძრების?
იქნებ დედაა შვიდი შვილისა?
ნეტავ ამდენი ძალა ვინ მისცა?
იქნებ იგია, ვინც ტრაქტორს მართავს,
ვინც სხლავს ვენახს და აგროვებს თავთავს?
იქნებ უცნობის ლექსის პწკარია
ჩირგვს მიმალული, როგორც კურდღელი,
და... ყველა ერთად ქვეყნის ვალია
ჩემგან პირნათლად გადაუხდელი?
ვიღაც მეძახის გუგულის ხმებით,
ვიღაც მეძახის და... ფეხზე ვდგები!

# ბავშვებისათვის

ნაზი თარგამაძე

## ჩემი პაპა გიგია

უფროსები ამბობენ
თითქოს პაპა გიგია —
ჩემი პაპა გიგია
ვითომ დიდი წიგნია.

ნეტავ რატომ ამბობენ,
რა წიგნი, რა რვეული?
სიზმარშიც არ მინახავს
პაპა წიგნად ქცეული.

ღონიერი პაპა მყავს,
მამიკოზე მაღალი,
იცის გულგასახარი
უთვალავი ზღაპარი.

## მაქვს პატარა ბაღჩა

ჩემი ციცქნა ბარით
და პატარა თოხით
ბოსტანს კიდეც ვბარავ
და კიდევაც ვთოხნი!

აბა, ნახეთ ჩემი
პაწაწინა ბაღჩა,
სადმე მოუვლელი
ადგილი თუ დამრჩა.

ერთ კვალში მაქვს ხახვი,
რეჰანი და ქინძი,
მობრძანდით და ნახეთ,
მოვლა სულ არ მიმძიმს.

პამიდვრები გიგო
პაპამ გადმომირგო,
ხუთივე ძირს თვითონ
მე დავუსვი ჭიგო.

დიდი ბოსტნის ბოლოს
ხარობს ჩემი ბაღჩა,
პატარაა, მხოლოდ
და შორიდან არ ჩანს!

## ტყეში მივდივართ

მოვისურვეთ ბავშვებმა
ტყეში გასეირნება,
მაგრამ მარტო გაშვება
ბაბუამ არ ინება.

შევეხვეწეთ ბაბუას
მე, გია და ზურიკო,
ჩვენთან ერთად ტყეში რომ
ისიც წამოსულიყო.

ბებიკომაც ინება
ტყეში გასეირნება, —
სოკოები ვკრიფოთო,
ნიყვი, ქამა, ირემა.

დაგვპირდნენ და ნამდვილად
ბაბუა და ბებია
ჩვენთან ერთად ხვალ დილას
ტყეში მობრძანდებიან!

## დელი-დელა

დელი-დელა, დელი-დელა,
სოფელში ვართ ახლა ყველა!
დედა, მამა, მე და ლელა,
მამიდა და ზურიკელა.

ბიცოლა და ძია გია,
სოფელს არ მოსცილებიან,
ბებოც, პაპა ზაქარიაც
ზამთარ-ზაფხულ აქ არიან.

მეც კი მინდა სულ აქ ყოფნა,
მიყვარს ჩემი სოფლის მთები,
ჰოდა, როცა გავიზრდები,
სოფელს არც მე მოვცილდები!

დელი-დელა, დელი-დელა,
სოფელში ვართ ახლა ყველა!

## დედა ვერ დავხატე

ვხატე, ვხატე, ვხატე
ხან მინდორი, ხან ტყე,
ზღვა, მდინარე, ფლატე,
მთა ასული ცამდე,

ვცადე, როგორ ვცადე,
ვხატე, როგორ ვხატე,
მაგრამ ჩემი დედა
მაინც ვერ დავხატე.

## კალია

გუშინ იმდენი მახტუნა
ერთმა პატარა კალიამ
სულს ძლივს ვითქვამდი, თვითონაც
კინაღამ სული დალია,
მაჯობა, ველარ შივდიე,
აბა, რა დასამალია?
თურმე ის ციცქნა კალია,
ჩემზე მარდი და მალია!

## ბალი

დაუჭყიტავთ აქა-იქ
მოვარდისფრო თვალი,
ზოგს ყვითელი თვალი,
ზოგს კი — უფრო მკრთალი.
აწითლდება საცაა
დახუნძლული ბალი!
ვაჰ, ტოტების ბრალი!
ვაჰ, ტოტების ბრალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ბებიები

თანამედროვე სოციოლოგიურ გამოკვლევებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ოჯახის მეცნიერულ შესწავლასა და დახასიათებას. ამ წერილში ჩვენ ვისაუბრებთ ბებიაზე, როგორც ოჯახის ერთ-ერთ საპატიო წევრზე. ბებიაცაა და ბებიაც. ზოგი ისეთი ახალგაზრდაა, რომ გეუხერხულება კიდეც ბებია უწოდო. საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოებაში ბევრია ბებია — ექიმი, ბებია — მასწავლებელი, ბებია — ხელმძღვანელი მუშაკი, — ბებია — საზოგადო მოღვაწე და სხვა, რომლებიც სულიერი თუ მატერიალური კულტურის უამრავ ღირებულებებს ქმნიან.

მაგრამ ჩვენი საუბარი დღეს ტრადიციულ ბებიას ეხება, რომელიც სახლშია და მრავალი მოვალეობა აქვს დაკისრებული.

ბავშვის ცნობიერებაში დაახლოებით ერთნაირი ადგილი უკავია ბებიასა და ზღაპარს. იგი მოუთმენლად მოელის მათ, რადგან ორივე ტკბილი და საყვარელია. ბებია ამზადებს აკვანს ახალშობილისათვის, აკრავს მას არტახებში და დაუსრულებლივ ეალერსება: „ჩემო პატარა ანგელოზო“, „ჩემო იმედო“, „თვალისჩინო“, „სიცოცხლე“ და სხვა. ვინ იცის, რამდენი ღამე უთევია მას პატარას სასთუმალთან. შვილიშვილისადმი ბებიის სიყვარულს საზღვარი არა აქვს, ტყუილად როდია ნათქვამი: „შვილმა გული გაიარა, შვილიშვილმა გულის გულიო“. ბებია მხოლოდ სიკეთისა და კეთილშობილების ასოციაციას იწვევს მისი დანაოჭებული სახითა თუ ხელებით, თბილი ხმით, ძილისპირულზე ნაამბობი უცნაური ამბებითა თუ ზღაპრებით, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ შვილიშვილიც სიყვარულითვე პასუხობდეს მას. ხომ შეგიმჩნევიათ, როგორ ფაქიზად გამოჰყავთ ხოლმე ბავშვებს პირველი ასოები, რომ შორეულ თუ ახლო სოფლებში საყვარელ ბებიას ხმა მიაწვდინონ.

ძირითადად ბებიას ორმაგი ფუნქცია აქვს: დიასახლისისა და აღმზრდელის. როცა ქალიშვილი ან რძალი მუშაობს, ბებია თავისთავზე იღებს რთულ მოვალეობებს: სახლს ალაგებს, ყიდულობს სანოვაგეს, ამზადებს საჭმელს, რეცხავს და სხვ. მარტო ის რად ღირს, რომ სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვს ღია კარი და თბილი სადილი ხვდება. ერთი სიტყვით, როგორც გერმანულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში მიუთითებენ, ბებიის ფასი განუსაზღვრელია, მას ოქროზე მეტი ღირებულება აქვს. ბებია მნიშვნელოვანი დასაყრდენია, როცა ოჯახი სრულია (ბავშვები, დედა, მამა) და უფრო მეტად, როცა იგი ნახევარია — ან დედაა მარტოხელა, ან მამა.

ჩვენს დროში ბევრი მშობელი ჩივის იმაზე, რომ ნაკლები დრო რჩებათ შვილების აღსაზრდელად, ამიტომ მთელ მოვალეობებს ბებიებს აკისრებენ. მაგრამ არის კი პედაგოგიურად და ფსიქოლოგიურად გამართლებული, რომ ბავშვის აღზრდა მხოლოდ და მხოლოდ ბებიებს მივანდოთ? ხომ არ უნდა გავითვალისწინოთ მოზარდის და ასაკში შესული ადამიანის ფსიქოლოგიური თავისებურებანი?

ყურადღების ღირსია ერთი გარემოება: გერმანელი და ამერიკელი ფსიქოლოგების გამოკვლევების მიხედვით, კვირა დღეს მხოლოდ ბავშვთა 10,6 პროცენტი ატარებს მშობლებთან ერთად, რაც მათ არასასურველ მოვლენად მიაჩნიათ, რადგან ბავშვებმა მშობლებისაგან ბევრი რამ უნდა ისწავლონ (როგორ გაატარონ კვირა დღე, როგორ უნდა მოიქცენ საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში და სხვ.). დადგენილია, რომ ბავშვები, რომელთაც ხშირი კონტაქტი აქვთ განათლებულ და ჭკვიან მშობლებთან, სხვადასხვა სახის თამაშობასა და სწავლაში უფრო მეტი შემოქმედებითი ფანტაზიის უნარს ავლენენ, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც ყოველივე ამას მოკლებულნი არიან და უმეთვალყუროდ იზრდებიან. მშობლის ხშირ ყოფნას ბავშვებთან და მათ დადებით მაგალითს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის აღზრდაში, მისი პიროვნული თვისებების, მოქალაქეობრივი მიზნებისა და სოციალურად ღირებული განწყობების ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბებიები დიდი ერთგულებით უდგანან ოჯახს მხარში (რაც აუცილებლად დასაფასებელია), მკვლევარები საჭიროდ თვლიან ბებიისა და მშობლის მოვალეობების საზღვრების გამიჯვნას. ბავშვის აღზრდა ძირითადად მშობელმა უნდა იკისროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბებიასა და შვილიშვილს შორის ასაკობრივად და ინტელექტუალურად დიდი სხვაობაა, როცა ბებია მოხუცია და ბევრი რამ თვითონ უჭირს. „მე გადავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“, — წერდა რუსთაველი და მართლა, მოხუცებულობაში ადამიანი იცვლება როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურადაც: სიმაღლეში პატარავდება, თვალი და მუხლი ძველებურად აღარ უჭრის, მეხსიერება შესუსტებული აქვს, ხშირად ავადმყოფობს, ვერ იტანს ხმაურს, ადვილად იქანცება და სხვა. განსაკუთრებით მაშინ უძნელდება ბებიას შვილიშვილის მოვლა, როცა მოზარდი სიმწიფის ასაკში შედის. ამ დროს ის მოზღვავებული ენერგიით, სამყაროსა და სოციალური მოვლენების მიმართ დიდი ინტერესითა და კრიტიკულობით გამოირჩევა, ამსხვრევს ავტორიტეტებს და ადამიანთა გადაფასებას ახდენს, იდეალური პიროვნების ძიებაშია. მშობელმა უნდა შეიცნოს შვილი და მის გრძნობებს შესატყვისი სადინარი მისცეს. ბავშვი მშობლის დიდ ზრუნვას მოითხოვს, ბებიას კი ამის ძალ-ღონე არ შესწევს.

ბებიების შფოთვისა და სევდის მიზეზი ხშირად ისაა, რომ ძველებურად ვერ საქმიანობენ და თავს ზედმეტად თვლიან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ოჯახში მათ აღარაფერს ეკითხებიან და საკუთარი კუთხის გამოძებნა უჭირთ (ეს საკითხი ძალიან მტკივნეულია, ამიტომაა, რომ დელმარის 3-მოქმედებიანმა დრამამ „იქნებ ბავშვები ფრინველებს ჰგვანან“, მსოფლიო თეატრები შემოიარა. ამაგდარი, მოხუცი მშობლების შეკედლება ხუთივე შვილს უჭირს. დედა თავშესაფარში მიდის, მამა — სამკურნალო დაწესებულებაში).

ამას წინათ ფსიქოლოგთა ერთ-ერთ საერთაშორისო კონგრესზე მეცნიერებმა სპეციალური მოხსენებები წაიკითხეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეაგუონ ადამიანები სიბერეს და მრავალი ღონისძიება დასახეს. უმთავრესი — მოხუცის პიროვნული აღიარება, მისი წარსულისა და ამაგის დაფასებაა. ამის გამოხატვა კი მრავალნაირად შეიძლება. მათი სახელობის, დაბადების დღეს, რვა მარტს ბებიას აუცილებლად უნდა მივართვათ თუნდაც სულ უბრალო საჩუქრები: ყვავილები, ნამცხვარი და სხვა. ოჯახი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს კარგ ოჯახად, როცა იქ დიდ პატივს სცემენ მოხუცებულს, სუფრაზე მას უთმობენ ყველაზე მოხერხებულ ადგილს, კერძს პირველად მას მიართმევენ და ამასვე ასწავლიან შვილებს.

საქართველოს რადიოს პიონერთა დაფიონის გადაცემაში ხშირად ვისმენთ ხოლმე იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც გულთბილ დამოკიდებულებას იჩენენ მარტოდ დარჩენილ ადამიანთა და იმ მოხუცებულთა მიმართ, რომელთაც შვილები ომში დაკარგეს: უგროვებენ ფიჩხს, უპობენ შეშას, უნთებენ ცეცხლს, მოაქვთ წყალი და სხვა. უპირველეს ყოვლისა, ეს ამ ბავშვების ოჯახების, სკოლისა და პიონერული ორგანიზაციის დამსახურებაა.

გავუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ ჩვენს ბებიებს, მივუზღათ საზღაური იმისათვის, რომ ამ ქვეყნად მათი წყალობით გავჩნდით და მათი ზრუნვითა და ამაგით გავიზარდეთ.

ჟუჟუნა ნეფარიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



## ახლო წარსულიდან

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის მემორიალურ განყოფილებაში დაცულია უანგარო ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის — მაკინე ამირეჯიბის სალონის უნიკალური „სუფრა-მატეანე“, რომლის სიგრძე შვიდი მეტრია, ხოლო სიგანე მეტრნახევარი.

ეს ისტორიული სუფრა, მაკინე ამირეჯიბის მემკვიდრეებისაგან მუზეუმისათვის შეიძინა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა გიორგი ლეონიძემ 1944 წელს.

„სუფრა-მატეანე“ იმით არის ყურადსაღები და მნიშვნელოვანი, რომ მისი ზედაპირი მთლიანად დაფარულია ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლებისა და მოღვაწეების ავტოგრაფიული წარწერებით (ფერადი გაუხუნარი აბრეშუმის ძაფით ამოქარგული), რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ სალონის ხშირი სტუმრები ყოფილან ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლები: აკაკი, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, აქვსენტი ცაგარელი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ბაბო ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, კონსტანტინე ამირეჯიბი, სიმონ ყაუხჩიშვილი, შიო არაგვისპირელი, ვანო მაჩაბელი, შიო მღვიმელი და სხვა მრავალი.

სუფრაზე თქვენ ნახავთ ცნობილ ადამიანთა ათასზე მეტ ფაქსიმილეს — ზოგს უბრალო ხელმოწერა და თარიღი, ზოგს კი ლექსები, ნოტები თუ სხვადასხვა ფიგურები და აფორიზმები დაუტოვებია სამახსოვროდ.

ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა წერილები მაკინე ამირეჯიბის ქველმოქმედებაზე, მის თავდაუზოგველ შრომასა და მოღვაწეობაზე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მაკინე დაჯილდოებული იყო მუსიკის უბადლო ნიჭით — მღეროდა შესანიშნავად, ცეკვავდა დიდებულად, დაირას უკრავდა ბრწყინვალედ.

ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა მ. ამირეჯიბს აქტიური მონაწილეობა მიეღო იმ საქველმოქმედო საღამოებში, რომლებიც მისი თაოსნობით ეწყობოდა ქართლის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში.

გაზეთ „ივერიის“ 1895 წ. 27 ივნისის ნომერში დიდი ილია წერდა: „არაფერი კეთილი და სასარგებლო არ გაკეთდება ფრონის ხეობაზე, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიიღოს კნეინა მაკინემ“. აქვე დასახელებულია მაგალითი, რომ მაკინემ თავის ქველმოქმედებით ფული მოუგროვა ღარიბ მოსწავლეებს — ყიფიანს და მჭედლიშვილს და ამით მათ მოსკოვსა და კიევში სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა.

მაკინე ამირეჯიბი ხშირად ეხმარებოდა გაჭირვებულ, სწავლასმოწყურებულ ახალგაზრდობას და ღარიბ გლეხობას. უამრავი მაგალითიდან მოვიტანთ ორიოდეს: „ივერიის“ 1898 წ. 11 ივლისის ნომერში ვკითხულობთ: „დღეს, შაბათს, 11 მკათათვეს რკინიგზის სადგურ გორში... გამართული იქნება ნ. მაკინე ამირეჯიბის თაოსნობით ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ აკ. ცაგარელის პიესას „ხანუმას“. მონაწილეობას იღებენ ქართული სცენის ზოგიერთი არტისტები. წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენისა გადადებულია თბილისში დასაარსებლად განზრახულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ“... ან კიდევ: „ივერიის“ 1899 წ. მეთერთმეტე ნომერში მაკინე ამირეჯიბი აქვეყნებს წერილს რედაქციის მიმართ, რითაც მადლობას უცხადებს იმ პირებს, რომლებმაც ფული შესწირეს ხარკოვის უნივერსიტეტის ღარიბი ქართველი სტუდენტის დასახმარებლად. ასევე იგი, გაზეთ „ივერიის“ 1899 წ. №29-ის ფურცლებზე უგულითადეს მადლობას უძღვნის „ციციაანთ კანტორას და ბ-ნ კოტე კალატოზიშვილს, რომელთაც შესწირეს: პირველმა თხუთმეტი და მეორემ ხუთი მანეთი, მერვე კლასის მოსწავლის, ავადმყოფის ვლადიმერ ფავლენიშვილის სასარგებლოდ. — ეს ოცი მანეთი — დასძენს კეთილშობილი მანდილოსანი, — უკვე გადავგზავნე სოხუმში 10 იანვარსო. მაკინე ამირეჯიბი შრომასა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა დახმარებოდა ყველა გაჭირვებულსა და დავრდომილს.

მწერალი ნიკო ლომოური „ივერიაში“ (1900 წ. №25) „პროვინციელის“ ფსევდონიმით აქვეყნებს კორესპონდენციას, სადაც დიდი პატივისცემით იხსენიებს მაკინე ამირეჯიბს, რომლის თაოსნობითაც ქ. გორში გამართულა საქველმოქმედო საღამო, სადაც „მშვენიერ წარმოდგენას მოჰყვა სანაქებო ლეკური. საზოგადოდ ამ საღამოს გამართვაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა მთელ ქართლში ყველასაგან ცნობილი კნეინა ამირეჯიბისა, ვის არ უნახავს მისი თვალწარმტაცი ნარნარი ლეკური, ვის არ გაუგონია მისი სმენის დამატკბობელი, ეშხით სავსე სიმღერა, ვის არ მოუსმენია მისი შეუდარებელი დაირის დაკვრა?“

მაკინე ამირეჯიბის თაოსნობით, ამ საღამოს მთელი შემოსავალი გადადებული იყო გორის ორი სკოლის: ქალთა პროგიმნაზიისა და საქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთათვის (წმინდა შემოსავალი — 186 მანეთი — მაკინეს მთლიანად გადაუცია სკოლების ხელმძღვანელთათვის).

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული უამრავი ფაქტიური მასალებიდან, მოვიტანთ კიდევ ერთს იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი შრომა გასწია ამ შესანიშნავმა საზოგადო მოღვაწე ქალმა სეტყვისაგან დაზარალებული ორი სოფლის გლეხთა დასახმარებლად.

„ივერიის“ 1899 წლის 19 დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ: „ზემო ქართლის სოფ. ოქონისა და კნოლევის გლეხკაცობა მეტად გაჭირვებულია საზრდოს უქონლობით, სუყველას საკვები გამოელიათ და თითო ჯამობით თხოულობენ, არსაიდან შველა არა აქვთ... როგორც გავიგეთ, — დასძენს კორესპონდენტი, — მაკინე ამირეჯიბისა აგროვებს სეტყვისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის პურს და უკვე შეუგროვებია 350 ფუთი. აქაურმა გლეხებმა გაიგეს ეს ამბავი და დიდს ლოცვასა და მადლობას უგზავნიან კნეინა მაკინეს“.

ამ კეთილშობილ მანდილოსანს მართლაც გადაუცია სოფელ ოქონისა და სოფელ კნოლევის დამშეული გლეხებისათვის დახმარების სახით შეგროვილი ხორბალი და ფული. თვით მაკინე ამირეჯიბისა „ივერიის“ საშუალებით იუწყება: „ყველას მოეხსენება, რომ წარსულ 1899 წელს ზემო ქართლის მცხოვრებნი სეტყვისაგან დიდად დაზარალდნენ... განვიზრახე დაზარალებულ გლეხებისათვის შემწეობა აღმომეჩინა... შეგროვილი ჭირნახული 300 ფუთზე მეტია და ამის გარდა ფულიც არის....“ წერილში მაკინე მადლობას უხდის ყველას, ვინც შემწეობა აღმოუჩინა დაზარალებულთ, კერძოდ, ქვემო ხვედურეთის, დარბის, ბრეთის, საღოლაშენის, აბელაშენის, ქვენატკოცისა და რუისის მცხოვრებთ.

მაკინე ამირეჯიბისა (ქაიხოსრო ავალიშვილის ასული) დაიბადა 1855 წლის აგვისტოში სოფელ ბრეთში (ყოფილი გორის მაზრა). მაკინეს მამა ქართული მწერლობის დიდი მოყვარული ყოფილა, ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა და პატარა მაკინეს თავიდანვე უნერგავდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარულს, ზნეობრივ სისპეტაკეს და სათნოებას, ამასთან, პირადი მაგალითით ასწავლიდა ხალხის სიყვარულსა და გაჭირვებულთა დახმარებას.

მაკინე ოცი წლისაც არ იყო, რომ გათხოვდა სოფელ საღოლაშენში მცხოვრებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდიონ ამირეჯიბზე, შესანიშნავ ადამიანზე. სწორედ აქედან იწყება მისი უანგარო ქველმოქმედება და საზოგადო მოღვაწეობა.

მაკინეს წესად ჰქონდა შემოღებული — სტუმრად მისულ პირებს, ლიტერატურული საღამოების თუ სხვა კულტურული ღონისძიებების მონაწილეებს მის ოჯახში თავიანთი ყოფნა აღენიშნათ სუფრაზე სამახსოვრო ჩანაწერებით. მაკინეს სალონის სუფრაზე აბრეშუმის ძაფით ამოქარგულია ქნარი დაფნის ფოთლებით, ქნარის ცენტრში ილიას და აკაკის ხელმოწერაა ამოქარგული, აქვეა ანტონ ფურცელაძის, ნინო ორბელიანის, ა. ფრონელის, შიო ჩიტაძის, თ. სახოკიას, დუტუ მეგრელის, შიო არაგვისპირელის, სოფრომ მგალობლიშვილის, ია ეკალაძის, ვიქტორ იურკევიჩის, შალვა დადიანის ავტოგრაფები. ქნარის მახლობლად კი ზაქარია ფალიაშვილის, კიტა აბაშიძის, ნინო ყიფიანის, ნიკო ხიზანიშვილის, გიორგი ლასხიშვილის, ვანო ელიაშვილის, არტურ ლაისტის, ფილიპე გოგიჩაიშვილის და სხვა ცნობილ მოღვაწეთა ავტოგრაფებია.

მაკინეს სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ და საქველმოქმედო საქმიანობაშიც ეხმარებოდნენ გამოჩენილი მეცნიერები და ექიმები: კ. ამირეჯიბი, გ. მუხაძე, მ. წინამძღვრიშვილი, ა. შატილოვი, ნ. ყიფშიძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვანი. ამას ადასტურებს სუფრაზე მათი ავტოგრაფები. ამ ლიტერატურულმა სალონმა დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში.

მადლიერი ქართველი ხალხი ყოველთვის პატივისცემით მოიგონებს მაკინე ამირეჯიბის (იგი 1922 წელს გარდაიცვალა) ღვაწლს.

ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მაკინე ამირეჯიბის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სპეციალური სტენდი აქვს დათმობილი. უნიკალური „სუფრა-მატიანე“ კი, რომელიც მის უანგარო და კეთილ საქმიანობაზე ღაღადებს, წლების მანძილზე გამოფენილი იყო საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

**დავით შულღიაშვილი,**

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ლიტერატურული მუზეუმის იკონოგრაფიული და მემორიალური განყოფილების გამგე.



მაკინე ამირეჯიბის სუფრის ფრაგმენტი

გარეკანის პირველ გვერდზე — მხატვარ ელენე ახვლედიანის „ძველი თბილისი“; მეოთხე გვერდზე — მხატვარ ფ. მანაგაძის „შემოდგომა“. ფერადი სლაიდები დ. იაკობაშვილის და გრ. სეირანიანისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. **№ 14.**
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 22/IX-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XI-75 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 120670 შეკვ. 3502 უე 02075 ფასი **30** კაპ.

# მოდა



ავტორი მილეტა ბალდასაროვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76178